პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 44-ე წელი. № 111 (12927) | ხუთშაბათი, 14 მაისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

## მასების ინიციატივით, თვითმოქმედებით

[illegible]

... კრებებს ახლა ფართო აქტივის საშუალებით ამზადებენ და მართავენ. კარგი გამოცდილება შეიძინეს საზოგადოებრივ ... ყობენ შემოწმებებს, რევიზიებს, რეიდებს, რომლებიც მოიცავენ როგორც ცალკეულ ობიექტებს, ისე სახალხო მე- ... ბი, ფიზიკური თვალყური ადევნონ მათს ზრდას, დაინახონ მათში კომუნიზმის აშენების ამოცანათა წარმატებით განხორციელების გასაღები.

## მოდის „მწვანე ოქრო“

[illegible]

... არახამია, გ. თოდუა, გ. ნაჭყებია, შ. გაბედავა ხელმძღვანელობენ, ყოველმხრივ მზად შეხვდნენ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებას. პირველი დღიდანვე აღნიშნულ ბრიგადებში ფოთლის კრეფის დღიური ნორმა ორმაგად შესრულდა. კოლმეურნეები ლიდა არახამია, ვერა ქაროსანიძე, ვერა არახამია ფოთლის კრეფის დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

„მწვანე ოქროს“ კრეფას შეუდგნენ აგრეთვე ათარის, აგუბედიის, არასაძიხის კოლმეურნეობები და მოქვის საბჭოთა მეურნეობა. (საქ. კორ.).

**გეგეჭკორი.** ფაბრიკებისაკენ დაიძრნენ ჩაის ნედლეულით დატვირთული მანქანები ლეხაინდრაოს კოლმეურნეობა „საქართველოს“ გუშინდელი დღის ჩათვლით მოკრიფა 10 ათას კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი. ამ კოლმეურნეობის წევრმა ლაიზა ბართიამ ერთ დღეს მოკრიფა 60 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 18 კილოგრამისა. ასევე წარმატებით დაიწყო ფოთლის კრეფა გეჯედილის კოლმეურნეობის წევრმა ნათელა შულაიამ.

ფოთოლს უდანაკარგოდ იღებენ აგრეთვე ნოჯიხევის ლენინის სახელო- ... ოქრო“. (სპეც. კორ.).

**ქობულეთი.** შერჩევით კრეფას შეუდგა სალიბაურის საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობის მუშები ა. თევზაძე, შ. დავითაძე, დ. აბაშიძე, ტ. როდინა, ზ. ზაიჭიძე კრეფის დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ.

ჩაის ფოთოლს კრეფენ აგრეთვე ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობის მუშებს ვ. ჩუმბურიძეს, მ. ბერეზნაიას, ა. მარკიანსა და სხვებს მოკრეფილი აქვთ 15 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

ჩაის კრეფა დაიწყო ოჩხამურისა და ახალშენის საბჭოთა მეურნეობებში. (საქ. კორ).

# 200.000 ტონა [illegible]

## ფოლადის თითები

შვიდწლედის მეხუთე წელი ინგირის ჩაის საცდელ საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკამ სასახელოდ დაამთავრა. 1.900 ტონის ნაცვლად მოკრიფა 2.502 ტონა „მწვანე ოქრო“. აქედან ფოლადის თითებიანმა მანქანამ — 1.047 ტონა.

წელს მიღწეულით როდი ვკმაყოფილდებით. გადავწყვიტეთ 407 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ფოთოლი მთლიანად მოვკრიფოთ ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველოთი“. ამისათვის ყველა მანქანა მზად გვაქვს. პლანტაციებში აგროვადებში შესრულდა საგაზაფხულო სამუშაოები. ადგილზე შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ „მწვანე ოქროს“ საკრეფმა მანქანებმა შეუფერხებლად იმუშაონ. მანქანებით ფოთლის კრეფას სულ მალე დავიწყებთ.

**ს. ებრალიძე,**
ინგირის ჩაის საცდელ საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი.



ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში წელს „მწვანე ოქროს“ კრეფაზე გამოყენებული იქნება მანქანა „საქართველო“.

**სურათზე:** ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანები მუშაობის დროს.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ძლიერდება შრომის ტემპი

**ცხაკაიას** საწარმოო სამმართველოს ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ მოკრიფა 1.100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მოწინავე მეჩაიეები თ. ჯოჯუა, ბ. კანკია, ც. მანია და სხვები ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

სოფელ ლეწურწუმის კოლმეურნეობაში მოკრეფილია ათას კილოგრამზე მეტი ფოთოლი. ჩაის კრეფა წარმატებით მიმდინარეობს ნაფიჩხოვოსა და ლესიჭინის კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეთა შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე სეზონში ჩაის უხვი მოსავლის მისაღებად.

**ს. კუჭავა.**

## მრეწველობა ყოფაცხოვრების სამსახურში

### სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოში

11 მაისს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ტანსაცმლის ქიმიური წმენდის ფაბრიკებისათვის, სამრეცხაოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოებისათვის მანქანების, მოწყობილობის, ქიმიკატების სპეციალური მასალების წარმოების განვითარების შესახებ.

ამ საკითხის განხილვის დროს აღინიშნა, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებებს. ახალი საწარმოები იქმნება ნელა. მაგალითად, ტანსაცმლის ქიმიური წმენდის 267 ფაბრიკიდან, რომელთა ამუშავება გათვალისწინებული იყო 1959-1963 წელს, საექსპლოატაციოდ გადაცემულია მხოლოდ 166 ფაბრიკა. არადამაკმაყოფილებლად იყენებენ სამრეცხაოების სიმძლავრეებს, მიუხედავად იმისა, რომ ხუთწლედის განმავლობაში სამრეცხაო მოწყობილობის წარმოება ორნახევარჯერ და მეტად გაიზარდა.

საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის მრეწველობა მიმდინარე წელს 120 ათასზე მეტ ერთეულ მოწყობილობას დაამზადებს. რომ გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომსახურება, პირველ რიგში სოფლისა, მოკავშირე რესპუბლიკებისათვის გამოყოფილია 2100 ავტომანქანა.

კოლეგიამ დაავალა რუსეთის სფსრ, უკრაინისა და ლიტვის სახალხო მეურნეობის საბჭოებს 1964-1965 წლებში დაამზადონ 100 კომპლექტი მოწყობილობა ტანსაცმლის ქიმიური წმენდის საწარმოთათვის, მამაკაცის პერანგების სასწრაფოდ გარეცხვისა და იმ სამრეცხაოებისათვის, რომლებიც თვითმომსახურების საფუძველზე მუშაობენ. პირველი ასეთი კომპლექსური საწარმო, რომელიც მოსკოვშია მოწყობილი, მოსახლეობისათვის ძალიან მოსახერხებელი აღმოჩნდა.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და შუა აზიის სახალხო მეურნეობის საბჭოს დაევალა გადასცეს საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოებს ქარხნებსა და ფაბრიკებში გამოუყენებელი სადაზგო მოწყობილობა. (საქინფორმი).

## საპატიო შეკვეთა

**რუსთავი**, 12 მაისი. (საქინფორმი). რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს კოლექტივმა მიიღო საპატიო შეკვეთა ასუანის ჰიდროკვანძის მეორე რიგის მშენებლობისაგან. მაისის დამლევამდე მან უნდა დაამზადოს სპეციალური კვეთის 45 ტონა მილები. ქართველმა მილმგლინავებმა გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ ეს დავალება. რუსთაველების სიტყვა და საქმე ერთია — რამდენიმე დღის შემდეგ შეკვეთა შესრულდება.

მიმდინარე წელს რუსთაველებმა უკვე გაგზავნეს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ათობით ტონა მილები ასუანის კაშხალისა და სამედიცინო პრეპარატების ქარხნის მშენებლობისათვის.




## მისამართია: „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა“

**საბჭოთა** ადამიანები ვადამდე ასრულებენ მეგობარი ქვეყნის — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეკვეთებს.

ტალინის საზომ-საკონტროლო ხელსაწყოთა საცდელ ქარხანაში დაიწყეს ახალი ხელსაწყოს რადიოიზოტოპური სისქესაზომის გამოშვება. ეს ხელსაწყო განკუთვნილია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველი მეტალურგიული გიგანტისათვის, რომელიც შენდება საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით. ახალი ხელსაწყო ავტომატურად მოაწესრიგებს ფოლადების ცივი გაგლინვის სიზუსტეს.

ამ დღეებში პერმელმა მანქანათმშენებლებმა ასუანის მაღლივი კაშხალის მთავარი საკეტისათვის დაამზადეს საყრდენ-სავალი თვლები. ურალიდან მზიური ნილოსის ნაპირებისაკენ იგზავნება ტურბსატეხები და ტურბურღები, ტელეფონის აპარატები და საწერი ქაღალდი, ნაღინი და სხვადასხვა ქიმიური პროდუქცია. (საქინფორმი).

## შვიდწლედის ვახტზე

### ბათუმური მარკით

**ბათუმი.** (საქ. კორ.). ბათუმური მარკის მანქანა-დანადგარებს ახლა არა მარტო ჩვენი დიადი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში შეხვდებით, არამედ საზღვარგარეთის ქალაქებშიც. ყოველწლიურად აფართოვებს ასორტიმენტს ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანა. ქარხნის მიერ გამოშვებული მანქანა-მოწყობილობა საზღვარგარეთის 20-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება და ყველგან მოწონებით სარგებლობს. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, კუბა, ავღანეთი, განა, სომალი... მათ რიცხვს ამ დღეებში შეემატა კიდევ ერთი სახელმწიფო — ეს არის სუდანის რესპუბლიკა. აფრიკის ამ ახალგაზრდა სახელმწიფოს, რომელიც ახლახან განთავისუფლდა კოლონიალიზმის კლანჭებისაგან, ბათუმელებმა გაუგზავნეს 12 ცალი დალარული მბრუნავი კონუსი, რომლებსაც ხილის წვენის გამოსაწურავად იყენებენ.

### მეშახტეთა წარმატება

**ტყვარჩელი.** (საქ. კორ.). საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავი წარმატება მოიპოვა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა. მეშახტეებმა 28 აპრილისათვის წარმატებით გაანაღდეს ქვანახშირის მოპოვების ოთხი თვის გეგმა.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს პირველი, მეორე, მესამე, მეხუთე შახტების კოლექტივებმა.

# მეგობრობა, გულითადობა

## ნ. ს. ხრუშჩოვი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში

კაირო, 12 მაისი. (საქინფორმის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. პ. ხრუშჩოვა ესტუმრნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველ ვიცე-პრეზიდენტს აბდელ ჰაკიმ ამერსა და მის მეუღლეს მათი მიწვევით.

მარშალ ამერთან სტუმრად იყვნენ აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი და მისი მეუღლე.

შეხვედრამ განსაკუთრებით გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

კაირო, 12 მაისი. (საქინფორმის სპეც. კორ.). 12 მაისს საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ და მისი თანმხლები პირნი დაესწრნენ კონცერტს, რომელიც საბჭოთა მთავრობის მეთაურის პატივსაცემად გაიმართა კაიროს ოპერის თეატრში.

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად კონცერტს დაესწრნენ პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი მეუღლითურთ, პირველი ვიცე-პრეზიდენტი მარშალი აბდელ ჰაკიმ ამერი მეუღლითურთ და სხვები.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ ნასერს, როცა ისინი მთავრობის ლოჟაში შემოვიდნენ.

ორკესტრმა შეასრულა სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მოცეკვავეთა კოლექტივებმა სტუმრებს უჩვენეს ეროვნული ხალხური ცეკვები.

კონცერტს დიდი წარმატება ხვდა წილად. კვლავ შეასრულეს სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და პრეზიდენტ ნასერის სახელით მოცეკვავეთა ეროვნული კოლექტივების მსახიობებს მიართვეს ყვავილები.

კაირო, 13 მაისი. (საქინფორმის სპეც. კორ.). დღეს დილის 8 საათზე კაიროდან ასუანში თვითმფრინავით გაემგზავრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი, რომლებიც დაესწრებიან ზეიმს ნილოსის გადახიდვის გამო. მათ ახლავან საბჭოთა დელეგაციის წევრები, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრი ალი საბრი.

ასუანში უკვე იმყოფებიან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეები, მინისტრები და სხვა მაღალი თანამდებობის მოღვაწეები.

ასუანში მთელი მსოფლიოდან ჩამოვიდა გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის ასობით კორესპონდენტი.

ასუანში დიდი დღესასწაულია. მარად მზიური ქალაქი მორთულია ალმებითა და ტრანსპარანტებით, ყველგან მოჩანს ნ. ს. ხრუშჩოვისა და პრეზიდენტ ნასერის პორტრეტები.

საპატიო სტუმრები ასუანში ჩავლენ დილის 9 საათსა და 10 წუთზე. პირდაპირ აეროდრომიდან ისინი გაემართებიან ნილოსის ნავმისადგომისაკენ, გემ „რამზესით“ აჰყვებიან მდინარეს კაშხალამდე. აქ ისინი მისცემენ კაშხალის სხეულში დარჩენილი განაკადის გადახიდვის დაწყების სიგნალს, შემდეგ კი გადავლენ მარჯვენა ნაპირზე და დაათვალიერებენ ზედა და ქვედა არხებს, აგრეთვე გრანიტის მასივში გაყვანილ გიგანტურ გვირაბებს.

ასუანი, 13 მაისი. (საქინფორმი). დღეს 9 საათსა და 32 წუთზე ასუანში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი. აეროდრომზე მათ მოუწყვეს საზეიმო შეხვედრა. პირდაპირ აეროდრომიდან საპატიო სტუმრები გაემართნენ ნილოსის ნავმისადგომისაკენ.

ასუანი, 13 მაისი. (საქინფორმის სპეც. კორ.). დღეს დილით მზიური ასუანი ზეიმით შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს გამალ აბდელ ნასერს და იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს აბდალა ას-სალალს.

ათასობით ადამიანი შეიკრიბა აეროდრომზე, რათა მისალმებოდნენ საპატიო სტუმრებს. შეკრებილთა შორის იყვნენ მინისტრები, პროვინციათა გუბერნატორები, განის, გვინეის, ნიგერიის, ტანგანიკის დელეგაციები, რომლებიც სპეციალურად ჩამოვიდნენ ზეიმზე ასუანში.

9 საათი და 32 წუთია. თვითმფრინავი აეროპორტში ეშვება. თვითმფრინავიდან ჩამოდიან ნ. ს. ხრუშჩოვი, პრეზიდენტი ნასერი და პრეზიდენტი ას-სალალი. ისინი მიესალმნენ მაღლივი კაშხალის საქმეთა მინისტრს სიდკი სოლიმანს, კაშხალის მშენებლობის მთავარ საბჭოთა ექსპერტს ა. პ. ალექსანდროვს, ასუანის გუბერნატორს მადკურ აბუ ელ-ეზს. არაბმა და საბჭოთა მოსწავლეებმა ძვირფას სტუმრებს ყვავილთა თაიგულები მიართვეს.

აეროდრომიდან ნ. ს. ხრუშჩოვი, ნასერი და სალალი ნილოსისაკენ წავიდნენ. გზა უდაბნოში გადის. ჩვეულებრივ ამ გზაზე სიცარიელეა, მაგრამ ახლა უდაბნო არა ჩანს. ყველგან ადამიანები არიან, ყველგან ყვავილებია, ყველგან ღიმილია.

მანქანა ნავმისადგომის ახლოს ჩერდება. კვლავ მისალმებანი, კვლავ ყვავილები. სტუმრები გემ „რამზესში“ გადასხდნენ და მდინარეს მშენებარე კაშხალისაკენ აყვნენ.

გემი ჩერდება 90-მეტრიანი განაკადის ახლოს, რომელიც კაშხალშია დატოვებული. იწყება საზეიმო წუთები.

დილის 10 საათი და 40 წუთია. ნ. ს. ხრუშჩოვმა, პრეზიდენტმა ნასერმა და პრეზიდენტმა სალალმა სამი გრანიტის ქვა ჩააგდეს ნილოსში. ქვებზე ამოკვეთილია მათი სახელები და სიტყვები: „ეს ქვა მდინარეში ჩაგდებულია 1964 წლის 13 მაისს ნილოსის გადახიდვის აღსანიშნავად“.

ახლოს მყოფი გემები, კარჭაპები, საბუქსირო გემები საყვირის გაბმული გუგუნით მიესალმებიან სტუმრებს. გრიალებს სალუტი. ცაში აიჭრა რაკეტები, რომლებიც ჰაერში გასკდომის დროს პარაშუტებით ცაში უშვებენ ნ. ს. ხრუშჩოვისა და პრეზიდენტ ნასერის უზარმაზარ პორტრეტებს. პორტრეტები ნელა მიცურავენ ასუანის მაღლივი კაშხალის სამშენებლო მოედნის თავზე.

ნაპირებთან შეკრებილი ათი ათასობით ადამიანი ერთხმად გაიძახის: „ხრუშჩოვი-ნასერი, ხრუშჩოვი-ნასერი“.

გემი განაკადიდან ოდნავ განზე დგება, პრეზიდენტი ნასერი ხელით იძლევა ნიშანს. დაიწყო ნილოსის გადახიდვა.

მძლავრი 25-ტონიანი „მაზები“ ორივე მხრიდან ეკვეთნენ განაკადს. წყალი აზვირთდა. 70 საათს გაგრძელდება ადამიანის ეს უკანასკნელი ბრძოლა ნილოსის სტიქიასთან.

მდინარის გადახიდვაში მონაწილეობს 3 ათასი მშენებელი — საუკეთესოთაგან საუკეთესონი. მათ ეს უფლება მოიპოვეს შეჯიბრებაში, რომელიც გასული წლის დამლევს გაიშალა ასუანის 30-ათას მშენებელს შორის. ნილოსის გადახიდვაზე იყენებენ თანამედროვე საბჭოთა ტექნიკას — ოთხმოცდახუთ 25-ტონიან თვითმცლელს, 8 მძლავრ თვითგანტვირთებად კარჭაპს. სამი დღის განმავლობაში ისინი ყოველ საათში ჩაყრიან მდინარეში ათასობით კუბურ მეტრ კლდის ქანებს, სანამ განაკადი არ ჩაიკეტება და კაშხალი საბოლოოდ არ გადახიდავს ნილოსს.

გემი „რამზესი“ მიემართება მარჯვენა ნაპირისაკენ. სწორედ აქ მიმდინარეობდა ძირითადი სამუშაოები ასუანის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე. საპატიო სტუმრები ნაპირზე გადმოვიდნენ, ჩასხდნენ მანქანებში და არხისაკენ წავიდნენ. დაათვალიერეს ზემო და ქვემო არხი, აგრეთვე კლდეში გამოჭრილი უზარმაზარი გვირაბები და ჰიდროელექტროსადგურის შენობის ბეტონის საფუძველი.

ასუანის კაშხალის მშენებლობაზე ძვირფასი საბჭოთა სტუმრისა და პრეზიდენტ ნასერის მოსვლის გამო სამშენებლო მოედანი საზეიმოდ არის მორთული. გვირაბთა შესასვლელები, ელექტროსადგურის შენობა, წყალმიმღები და სხვა ნაგებობანი მორთულია ნ. ს. ხრუშჩოვისა და პრეზიდენტ ნასერის პორტრეტებით, ალმებით, ტრანსპარანტებითა და ლოზუნგებით: „მივესალმებით მშვიდობისათვის მებრძოლს პრემიერ ხრუშჩოვს!“, „მივესალმებით არაბი ხალხის დიად მეგობარს!“.

საპატიო სტუმრები ზემო არხში არიან. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ აქ მშენებლობაზე მუშაობა დუღდა, გუგუნებდნენ ოთხკუბურმეტრიანი ექსკავატორები „ურალეცები“, ხმაურობდნენ ბეტონსაზიდები, თვალისმომჭრელად ელვარებდა ელექტროშედუღების ნაპერწკლები, ადამიანები, რომლებსაც მეტრომშენებლის ჩაჩქანი ეხურათ, ხსნიდნენ ყალიბებს წყალმიმღების ბეტონის ბურჯებიდან, დგამდნენ და ღებავდნენ საკეტებს.

დღეს არხებში სიცარიელეა, სისუფთავეა და სიწყნარეც იქნებოდა, რომ არ გაისმოდეს გაბმული გუგუნი, რომელიც ზღვის ზვირთცემის ხმაურს ჰგავს. ეს არის არხების მაღალ შვეულ ნაპირებზე მდგარი ათი ათასობით მშენებლის ერთად შეერთებული მისასალმებელი ხმების გუგუნი.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ ნასერს, აგრეთვე პრეზიდენტ ას-სალალს ახსნა-განმარტებას აძლევდნენ ასუანის მაღლივი კაშხალის საქმეთა მინისტრი სიდკი სოლიმანი და მშენებლობის მთავარი საბჭოთა ექსპერტი ა. პ. ალექსანდროვი. ისინი ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ რა ტიტანური მუშაობა გასწიეს მშენებლებმა. ოთხი წლის მანძილზე არხებიდან ამოიღეს და გვირაბებიდან გამოიტანეს დაახლოებით 11 მილიონი კუბური მეტრი გრანიტის მაგარი ქანები. გვირაბებსა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მოხმარდა 600 ათასზე მეტი კუბური მეტრი ბეტონი. საპატიო სტუმრებმა ნახეს, თუ როგორ მუშაობენ საკეტები. სულ თექვსმეტი საკეტია და თვითეული მათგანი ას ტონას იწონის.

შემდეგ ისინი შევიდნენ № 5 გვირაბში. კლდეში გამოკვეთილი გვირაბები დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ თავიანთი მასშტაბით. მათი სიმაღლე 15 მეტრია, სიგრძე კი — დაახლოებით 300 მეტრი.

ასუანის ჰიდროკვანძის ძირითად ნაგებობათა დათვალიერება, სანამ მათ წყალი დაფარავდეს მთავრდება ქვემო არხში.

ნ. ს. ხრუშჩოვი, ნასერი, ას-სალალი და მათი თანმხლები პირები მიდიან მანქანებთან. ისინი ხელის აწევით მიესალმებიან შეკრებილთ. ნილოსის ახალი კალაპოტის 80 მეტრის სიმაღლის ნაპირებზე მისალმების პასუხად ათასობით ადამიანის ხელი აღიმართა. მზით გარუჯული, საბჭოთა სპეცტანსაცმელსა და არაბულ გალაბიებში გამოწყობილი ადამიანები ალტაცებით ერთხმად გაიძახიან არაბულ და რუსულ ენებზე „მეგობრობა, მეგობრობა, მეგობრობა“. ისინი ამაყობენ თავიანთი საქმით. ეს მათ გაკვეთეს მთები და დაიმორჩილეს მძლავრი მდინარე. ხვალ ისინი აიძულებენ ნილოსს ახალ კალაპოტში იდინოს.

გზა სამშენებლო მოედნიდან ასუანამდე, „ახალი კატარაქტის“ სასტუმრომდე, სადაც დაბინავდა საბჭოთა დელეგაცია, საპატიო სტუმრების ტრიუმფალური მსვლელობის გზა იყო. 20 კილომეტრი გაიარეს ადამიანთა ერთიან ნაკადში, ალმების ზღვაში. შეკრებილნი მიესალმებოდნენ და ბედნიერებას უსურვებდნენ მათ.

## ნ. ს. ხრუშჩოვის მილოცვა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიულოცა სიერა-ლეონეს პრემიერ-მინისტრს ა. მარგაის სიერა-ლეონეს მთავრობის მეთაურის პოსტზე დანიშვნა.

დეპეშაში გამოთქმულია იმედი, რომ საბჭოთა კავშირისა და სიერა-ლეონეს ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის საკეთილდღეოდ. (საქინფორმი).

## საბჭოთა კავშირის კომპარტიის დელეგაცია — პარიზში

**პარიზი**, 13 მაისი. (საქინფორმი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით საფრანგეთის კომპარტიის XVII ყრილობაზე დღეს პარიზში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

## სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირში

**მოსკოვი**, 12 მაისი. (საქინფორმის კორ.). დღეს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ივნისში მოსკოვში მოაწყოს პრესის ახალგაზრდა მუშაკთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი სემინარი თემაზე: „ჟურნალისტი და ცხოვრების მოთხოვნები“. სემინარი მოწვეულია სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან ერთად. 20 მაისს მოსკოვში იხსნება ფოტოკორესპონდენტთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი სემინარი „უმაღლესი იდეურობისა და ოსტატობისათვის“. იგი გაიმართება მეხუთე სრულიად საკავშირო მხატვრული ფოტოგამოფენის „შვიდწლედი სრულდება“ სტენდებთან.

გარდა ამისა გადაწყდა, რომ მაისში მოეწყოს შუა აზიის რესპუბლიკების პერიოდული პრესის მხატვართა შემოქმედებითი თათბირი (აშხაბადში) და ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ჟურნალისტთა შემოქმედებითი სემინარი მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის საკითხებზე (ბაქოში).

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ დაამტკიცა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის შეთანხმება ბუენოს-აირესის (არგენტინა) ბეჭდვითი სიტყვის სინდიკატთან და ჩილის ჟურნალისტთა საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების კომიტეტთან.

## ტალანტთა თანავარსკვლავედი

### ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს გადაეცათ 1964 წლის ლენინური პრემიები

**მოსკოვი**, 12 მაისი. (საქინფორმის კორ.). ნიკოლოზ ტიხონოვმა საბჭოთა ხელოვნების შესანიშნავი ოსტატები უწოდა ლენინური პრემიის ახალ ლაურეატებს ა. გონჩარს, ვ. პესკოვს, ა. დეინეკას, მ. პლისეცკაიას, მ. როსტროპოვიჩს, ნ. ჩერკასოვს მათთვის საპატიო ნიშნებისა და წარჩინების დიპლომების გადაცემის ზეიმზე.

იმისათვის, რათა მისალმებოდნენ საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა ახალ პლეადას, კრემლის სვერდლოვის სასახლეში დღეს მოვიდნენ დედაქალაქის მწერლები, მხატვრები, ჟურნალისტები, მსახიობები, დედაქალაქის საწარმოთა მუშები. კრების პრეზიდიუმში ლაურეატების გამოჩენას მქუხარე ტაშით, მეგობრული ღიმილით შეხვდნენ დამსწრენი, ყვავილები უძღვნეს მათ.

ნ. ტიხონოვმა მოკლედ დაახასიათა ნაწარმოებები, რომლებსაც მიენიჭათ საპატიო პრემიები, — ა. გონჩარის რომანი „ტრონკა“, ვ. პესკოვის წიგნი „ნამიანში“, ა. დეინეკას მოზაიკური ნამუშევრები, მ. პლისეცკაიას ცეკვის ხელოვნება, საბჭოთა მუსიკის დაუღალავი პროპაგანდისტის მ. როსტროპოვიჩის მოღვაწეობა, შესანიშნავი მსახიობის ნ. ჩერკასოვის მრავალფეროვანი ტალანტი.

აღფრთოვანებული სიტყვები წარმოთქვეს ლაურეატებმა.

ლაურეატებს მიესალმნენ: კულტურის მოღვაწეთა სახელით — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. სმირნოვი, დედაქალაქის მუშების სახელით — ქარხანა „დინამოს“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. ტერენტიევი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ფურცევა.

ლენინური პრემიის საპატიო ნიშნები და ლაურეატის დიპლომები გადაეცათ ვ. პესკოვს, ა. დეინეკას, მ. პლისეცკაიას, მ. როსტროპოვიჩს, ნ. ჩერკასოვს.

ნ. ტიხონოვმა თქვა, რომ ა. გონჩარს ლაურეატის საპატიო ნიშანი და დიპლომი გადაეცემა მოგვიანებით.

## სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის

# მთელი საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი საზრუნავი

პ. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ პროკურორი

პარტიის ახალ პროგრამაში მოცემულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი გეგმა. პარტიის მთავარ ამოცანად დასახულია ადამიანთა, განსაკუთრებით მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა. კომუნიზმის მშენებელ თაობაში ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული სულიერი სიმდიდრე, ფიზიკური სრულყოფა და მორალური სიწმინდე.

კომუნისტური მორალი თავის გამოსახულებას პოულობს საბჭოთა პატრიოტიზმში, ხალხთა მეგობრობაში, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმში, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებაში, შეგნებულ დისციპლინაში, მეგობრობასა და კოლექტივიზმში, საბჭოთა ჰუმანიზმში. თავმდაბლობა, უბრალოება, პატიოსნება, პრინციპულობა, ხასიათის სიმტკიცე და მამაცობა — აი საბჭოთა ადამიანის დამახასიათებელი თვისებები.

ჩვენი პარტია იდეოლოგიური და ზნეობრივი აღზრდის საქმეს უპირველეს ამოცანად სახავს და დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა თაობის იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონის ყოველდღიურ ამაღლებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმის მუშაობა მთლიანად მიეძღვნა იდეოლოგიურ საკითხებს. პლენუმზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის გაუმჯობესების, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების საკითხებს.

ჩვენი პარტიის, სახელოვანი კომკავშირის, პიონერული ორგანიზაციების, მშობლების და სკოლის საერთო შრომით აღზრდილმა მილიონობით საბჭოთა ახალგაზრდამ ააშენა [illegible]

სამწუხაროდ, ამ ჯანმრთელ, სიცოცხლით სავსე კოლექტივში ჯერ კიდევ გვხვდება ზოგიერთი ახალგაზრდა, რომელიც თავისი უსაქმურობით, ამორალური საქციელით ჩირქს სცხებს საბჭოთა ახალგაზრდის საპატიო სახელს, არცხვენს მშობლებსა და პედაგოგებს, ჩრდილს აყენებს იმ სკოლას, კომკავშირულ ორგანიზაციას, რომლის წევრადაც იგი ითვლება, აბუჩად იგდებს საზოგადოებრივ ნორმებს, ზოგჯერ კი სისხლის სამართლის დანაშაულსაც სჩადის.

მოზარდი თაობის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი. ახლა ჩვენი პარტია, სკოლა, კომკავშირი, პრესა და მთელი საზოგადოებრიობა იბრძვის ამ მავნე, ჩვენი საზოგადოებრივი წყობისათვის შეუთავსებელი ქცევების წინააღმდეგ.

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის ანალიზმა გვიჩვენა, რომ დანაშაულს ძირითადად სჩადიან ის მოზარდები, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, თავს არიდებენ მუშაობას, სკოლიდან გასულები, აგრეთვე ის მოზარდები, რომლებიც სწავლობენ ან მუშაობენ, მაგრამ მშობლებისა და სკოლის სათანადო მეთვალყურეობას მოკლებული არიან. მოვიყვან ამის დამადასტურებელ ზოგიერთ ფაქტს.

პატარა ანზორს ცხოვრების გზა მშობლებმა ნატო მურადაშვილმა და შოთა გოგიაშვილმა გაუმრუდეს, დედა და მამა ურთიერთ შორის კონფლიქტის გამო განქორწინდნენ და ცალცალკე ოჯახები შექმნეს, თავიანთი პირმშო კი ბედის ანაბარა მიატოვეს. ბოლოს ანზორი აღსაზრდელად ქ. თბილისის მეხუთე სახელოსნო სასწავლებელში მოხვდა, სადაც ქურდობა ჩაიდინა. ამ დანაშაულისათვის იგი გაასამართლეს.

როდესაც სასჯელი მოიხადა, გადაწყვიტა პატიოსნად ეცხოვრა და დახმარებისათვის დედას მიმართა. მის დედას ამ დროისათვის მესამე ქმართან ჰქონდა ოჯახი შექმნილი და შვილი არ მიიღო. ანზორმა ახლა მამას მიაშურა, მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა. გულქვა მამა თოფით გამოეკიდა მოკვლის მუქარით და ისე გააგდო სახლიდან. მშობლებზე განაწყენებულმა ბავშვმა შური იძია — დედის სახლიდან მოიპარა ოქროს ბეჭედი, საათი, ტანსაცმელი და წავიდა ბათუმში, სადაც დაპატიმრებულ იქნა.

ანზორ გოგიაშვილი ქურდობისათვის ამჟამად მესამედ იხდის სასჯელს ბავშვთა შრომის კოლონიაში. ანზორის მშობლები კი უდარდელად ცხოვრობენ, თითქოს არაფერ შუაში იყონ და მათი ბრალი არ იყოს, რომ ანზორი ცუდ გზას დაადგა.

ვლადიმერ და გალინა შერმადინები ტკბილი ცოლქმარი იყო. მათი ერთადერთი ბიჭუნა თამაზი დაწყებით კლასებში ფრიადზე სწავლობდა, ეტყობოდა მშობლების მზრუნველი ხელი. ვლადიმერ შერმადინი შემდეგში რატომღაც გზას ასცდა — სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა და ორჯერ ციხეში ამოჰყო თავი. მისი მეუღლე გალინაც უნებისყოფო აღმოჩნდა, ოჯახს ველარ დაუდო გული და ცუდ გზას დაადგა.

პატარა თამაზი დედმამის ამორალური საქციელის მოწმე გახდა, რამაც სწავლაზე გული ააცრუებინა, მოკლე ხანში კი ქურდობა დაიწყო. სასჯელმოხდილმა მამამ მეორე დედა მოუყვანა ბავშვს. არც თამაზის ნამდვილი დედა დარჩა „ვალში" და თამაზს მეორე მამა მიჰგ- [illegible]

მა კარგი სმაც უნდა იცოდესო, ამბობდა და თავის შვილს პატარაობიდანვე აჩვევდა სმას. ყველასათვის ცნობილია, რომ ლოთობა ბოროტების დედაა, და ასეც მოხდა: შარშან 23 ოქტომბერს ივანეს ვაჟმა ზურაბმა თავის სამ ამხანაგთან ერთად ღვინო დალია. შეზარხოშებულმა ოქტომბრის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარს მიაშურა. აქ მოქალაქე ვ. რეშეტოვს მკლავიდან მაჯის საათი წაგლიჯა და მიიმალა. მოკლე ხანში იგი საბრალდებულო სკამზე აღმოჩნდა. ლოთობას აყოლილ ივანე ბაკურაძეს ოთხი ცოლი ჰყავს გამოცვლილი, შვიდი შვილის მიმართ კი არავითარ მზრუნველობას არ იჩენს და თავისი ამორალური საქციელით ცუდ გზაზე აყენებს მათ.

აი შედეგები, რომლებიც მოსდევს მშობლების ცუდ მაგალითს და ბავშვის უმეთვალყურეოდ დატოვებას. ნატო მურადაშვილის, შოთა გოგიაშვილის, ივანე ბაკურაძის, ვლადიმერ და გალინა შერმადინების მსგავსი მშობლები თავიანთი ცუდი ქცევით ბავშვებს ამახინჯებენ და ცუდ გზაზე აყენებენ. რასაკვირველია, ასეთი მშობლები მთელი საზოგადოების სასტიკი გაკიცხვის ღირსნი არიან. განა დრო არ არის პასუხი მოეთხოვოთ ასეთ მშობლებს? ისინი ხომ დანაშაულს სჩადიან როგორც შვილების, ისე მთელი საზოგადოების მიმართ.

დღემდე კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იმ მშობლების სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას, რომლებმაც შვილები წესიერად ვერ აღზარდეს და თავიანთი უმოქმედობით დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანეს. ამჟამად ასეთი კანონპროექტი მზადდება ჩვენს საკანონმდებლო ორგანოებში. ალბათ მალე სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნება სპეციალური მუხლი, რომლითაც პასუხისგებაში მიეცემიან ის მშობლები, რომლებიც შვილების აღზრდის საქმეში უპასუხისმგებლობას იჩენენ.

მანამდე კი აუცილებელია ფართო მსჯელობის საგნად იქცეს მშობლების არასწორი დამოკიდებულება შვილების აღზრდისადმი როგორც მშობლების სამუშაო, ისე საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

ვისაც სურს შვილი აღზარდოს კომუნისტური საზოგადოების ღირსეულ მშენებლად, არასოდეს არ უნდა დატოვოს იგი უმეთვალყურეოდ. მშობლებმა ყოველთვის უნდა იცოდნენ, თუ რა უყვარს და რა აინტერესებს მათ შვილს, ვისთან მეგობრობს, ვისთან ერთობა, რას კითხულობს და როგორ ითვისებს წაკითხულს, რა სიძნელეები ხვდება სკოლაში და პირად ცხოვრებაში, როგორ უჭირავს თავი სკოლაში და სკოლის გარეთ. იმისათვის, რომ ბავშვს ვასწავლოთ, რათა იგი პატიოსანი, გულმართალი, შრომისმოყვარე და თავმდაბალი იყოს, — საჭიროა არა მარტო ჭკუის დარიგება, არამედ კარგი მაგალითის მიცემა.

უნდა გვახსოვდეს დიდი რუსი პედაგოგის ა. ს. მაკარენკოს სიტყვები: „ნუ იფიქრებთ, თითქოს ბავშვს ზრდით მხოლოდ მაშინ, როცა ელაპარაკებით და ჭკუას არიგებთ, ან უბრძანებთ მას. თქვენ მას ზრდით თქვენი არსებობის ყოველ მომენტში, მაშინაც კი, როცა შინ არა ხართ. როგორ იცვამთ, როგორ ელაპარაკებით სხვებს, როგორ ლაპარაკობთ სხვებზე, როგორ მხიარულობთ ან სწუხართ, როგორ ეპყრობით მეგობრებსა და მტრებს, როგორ იცინით, როგორ კითხულობთ გაზეთს. თუ თქვენ უხეში ან მკვეხარა ხართ, ან ლოთობთ, და, რაც კიდევ უარესია, დედას შეურაცხყოფთ, თქვენ უკვე უდიდეს ზიანს აყენებთ თქვენს შვილებს, უკვე ცუდად ზრდით მათ, და თქვენს უღირს საქციელს სავალალო შედეგები ექნება. მშობელთა მომთხოვნელობა თავისი თავისადმი, მშობელთა პატივისცემა საკუთარი ოჯახისადმი, მშობელთა კონტროლი ყოველი თავის ნაბიჯისადმი — აი აღზრდის პირველი და უმთავრესი მეთოდი".

ბავშვთა სწორად აღზრდის საქმეში ოჯახის გარდა დიდ როლს ასრულებს სკოლა, რადგან ბავშვი თითქმის მთელი დღის განმავლობაში სკოლაში იმყოფება. იმ სკოლებში, სადაც ბავშვთა აღზრდის საქმე სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას, შედეგებიც სავალალოა. განა სკო- [illegible] ...რობები და ამიტომ ცუდად სწავლობდა.

გასული წლის აგვისტოში ცირა გათხოვდა. შედეგი? გათხოვების ორი თვის შემდეგ ცირა ჩუგოშვილი როგორც „ცუდი დიასახლისი" გააგდეს ქმრის ოჯახიდან. ცირა სკოლის გარეთ დარჩა და ოჯახიც ვერ შექმნა.

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე დ. მენაბდიშვილი ცოლად გაჰყვა თანაკლასელ გ. ვარამაშვილს. იმავე რაიონის ვეჯინის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე ნ. მწარიაშვილმა თვითნებურად დატოვა სკოლა და გათხოვდა.

ეს ფაქტები ერთ რაიონში მოხდა და ამიტომ საგანგაშოდ უნდა ჩაითვალოს. კიდევ უფრო გაკვირვებას იწვევს, რომ სკოლების ადმინისტრაცია, პედპერსონალი და კომკავშირის ორგანიზაცია ამ აღმაშფოთებელ ფაქტებს უყურადღებოდ ტოვებენ.

ქ. თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები ლ. ქ. და მ. ჯ. ხშირად აცდენდნენ გაკვეთილებს. პირველი ხვდებოდა ვინმე თეიმურაზ ჩიქვაიძეს, მეორე კი ომარ, იგივე ნიკოლოზ ბარკალაიას, რომლებთან ერთად ეს გოგონები ავტომანქანით დასეირნობდნენ ქალაქში და სვამდნენ მაგარ სასმელებს.

საინტერესოა, სად იყვნენ ამ დროს ან ბავშვების მშობლები, ან სკოლის ადმინისტრაცია და პედპერსონალი, ან კომკავშირის ორგანიზაცია. ასეთი არაწესიერი ფაქტები მოსწავლეების ცხოვრებაში შეუწყნარებელია, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ სკოლების ადმინისტრაციას, პედაგოგიურ პერსონალს, მშობელთა აქტივს, კომკავშირულ ორგანიზაციას და ყველას, ვისაც ბავშვების აღზრდა ევალება.

სამწუხაროდ, როდესაც მოზარდი რაიმე დანაშაულს ჩაიდენს, მისი მშობლები სკოლას სდებენ ბრალს, სკოლა კი თავის მხრივ — მშობლებს. მათ ავიწყდებათ, რომ მოზარდი თაობის აღზრდა როგორც სკოლის, ისე მშობლების მოვალეობაა და მათს ცუდად აღზრდაში ერთნაირი ბრალი მიუძღვით სკოლასაც და მშობლებსაც.

ბავშვთა კომუნისტური სულისკვეთების აღზრდის საქმეში დიდია კინოს, თეატრისა და სხვა სანახაობათა როლი. მშობლებმა თვითონ უნდა შეურჩიონ შვილს, თუ რა კინოსურათის ან რა სპექტაკლის ნახვა შეიძლება მისთვის. არის შემთხვევები, როდესაც უყურადღებოდ მიტოვებული ბავშვი თვითნებურად მიდის ისეთი კინოფილმის სანახავად, რომელიც მისი ასაკისათვის შეუფერებელია.

ზოგიერთ უცხოურ ფილმში ჩვენ ვხედავთ კაპიტალისტური ცხოვრების მახინჯ მხარეებს და გამოგვაქვს დასკვნა, თუ რა აღვირახსნილ და ფუქსავატურ ცხოვრებას ეწევიან ბურჟუაზიულ სამყაროში. ბავშვის გონება კი ამას ვერ სწვდება. მთელი რიგი მოვლენების მიმართ არაკრიტიკულია და ზოგჯერ ცდილობს ცუდ მაგალითს მიბაძოს.

ბევრ კინოფილმში არის ადგილები, რომლებიც სრულასაკოვან ადამიანსაც სირცხვილს ჰგვრის. გამოხვალ კინოთეატრიდან და ფიქრობ, რა სურათი ენახე? რა იყო ამ სურათის დედააზრი? რა იყო მასში მოსაწონი? რა უნდა ისწავლოს ადამიანმა ამ ფილმით? ამავე ფილმზე თუ ასეთსავე კითხვებს დაუსვამთ არასრულწლოვანს, იგი გიპასუხებთ, რომ მას ეს კინოსურათი ძალიან მოეწონა. გიპასუხებთ, რომ მას მოეწონა საჯაზო მუსიკა, ტვისტისა და როკ-როლის ცეკვა, მსახიობის თმის წყობა, კაბის ფასონი და ვინ იცის კიდევ რა... ჩაუკვირდებით მის ნათქვამს და გაგახსენდებათ კინოსურათი. საკრავი ინსტრუმენტების უაზრო ბრახუნი, მსახიობთა გიჟური მანჭვა-გრეხა, თმის უშნო წყობა, რომლითაც პირველ ხანებში ვერც კი გაარკვევთ — ეს მსახიობი ქალი იყო თუ მამაკაცი. გაგახსენდებათ კაბა, რომელშიც მსახიობი ქალი ნახევრად შიშველი იყო. გაგახსენდებათ და გეწყინებათ, რომ ჩვენს ზოგიერთ ახალგაზრდას ასეთი უგემოვნო, უაზრო და უიდეო კინოსურათი მოსწონს. მისგან სწავლობს იმას, რაც ბურჟუაზიული სამყაროსათვის არის დამახასიათებელი და ჩვენთან კი დაგმობილია. გაზეთმა „იზ- [illegible] ...ქარით გაძარცვეს. მეორე დღეს ხელმეორედ ნახეს აღნიშნული კინოსურათი, რათა დაეზუსტებინათ ზოგიერთი „დეტალი". ფილმის განმეორებით ნახვის შემდეგ იმავე ხერხით კვლავ მოახდინეს ტაქსის მძღოლის გაძარცვა. დაკითხვისას პირდაპირ აჩვენეს, რომ ძარცვა მოახდინეს კინოფილმის გავლენით. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ასეთ კინოფილმებს ბავშვები არ ესწრებოდნენ, ამისათვის კი პერსონალური პასუხისმგებლობა კინოთეატრის ადმინისტრაციას უნდა დაეკისროს.

სადირექტივო ორგანოების წინაშე უნდა დაისვას საკითხი, რომ ტელევიზიით მიუღებელ სურათებს არ აჩვენებდნენ, რადგან ასეთი კინოფილმების ჩვენების დროს მშობლებს უძნელდებათ ბავშვების ჩამოცილება ტელეეკრანიდან. მიგვაჩნია, რომ ტელევიზიისათვის კინოფილმების შერჩევაში მონაწილეობა უნდა მიიღონ განათლების ორგანოებმაც.

აქ აღარ შევეხები იმ საკითხს, რომ ასაკისათვის შეუფერებელი წიგნების კითხვას ზოგჯერ ისეთივე მავნე შედეგები მოსდევს, როგორც ბავშვებისათვის აკრძალული კინოფილმების ნახვას.

ზემოთ ლაპარაკი იყო არასრულწლოვანთა შორის დანაშაულთა გამომწვევ მიზეზებზე. გარდა ამისა არის აგრეთვე მთელი რიგი პირობები და გარემოებები, რომლებიც ხელს უწყობს არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის წარმოშობას. ასეთებია: სკოლაში და საწარმო-დაწესებულებებში აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონე, სკოლისა და წარმოების გარეთ დარჩენილ მოზარდთა მიმართ უყურადღებობა, მილიციის ბავშვთა ოთახების მუშაკთა უმოქმედობა არასრულწლოვანთა უზედამხედველობასა და უმეთვალყურეობასთან ბრძოლაში, არასრულწლოვანთა საქმეების ზოგიერთი კომისიების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.

სკოლებში ჯერ კიდევ არის გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები. ზოგიერთი მოსწავლე ქუჩაში უსაქმოდ დაეხეტება. ერთ გაცდენას მეორე მოსდევს, შემდეგ ბავშვი ფუქსავატობას ეჩვევა და გაკვეთილების გაცდენა ჩვევად ექცევა. ამას კი ხშირ შემთხვევაში პედაგოგები და კომკავშირული ორგანიზაციები გულგრილად ეკიდებიან. უნდა ვიცოდეთ, რომ გზას აცდენილი ბავშვის გამოსწორება უფრო ძნელია, ვიდრე ბავშვის თანმიმდევრული, წესიერი აღზრდა. ცნობილია, რომ უმრავლეს შემთხვევებში ისეთი ბავშვები სჩადიან დანაშაულს, რომლებიც სისტემატურად აცდენენ გაკვეთილებს.

ბავშვთა სწორად აღზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით მასწავლებლის კვალიფიკაციას, მის მორალურ და იდეურ დონეს. იქ, სადაც პედაგოგიური კოლექტივი თავისი საქმიანი და მორალური თვისებებით სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას, მოსწავლეთა აღზრდის დონეც დაბალია.

ზოგჯერ განათლების ორგანოები ურიგდებიან სკოლაში ისეთ მასწავლებლებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში თავიანთი მორალური თუ საქმიანი მონაცემებით ვერ დგანან სათანადო სიმაღლეზე, უფრო მეტიც, ამორალური საქციელით სახელს უტეხენ და დაბლა სწევენ საბჭოთა მასწავლებლის წმინდა სახელს.

ავილოთ თუნდაც გორის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკის რვაწლიანი სკოლის მასწავლებლის შალვა გორგაძის საქციელი. მან ამ რამდენიმე წლის წინათ მიატოვა ცოლშვილი, უპატრონოდ დატოვა ორი მცირეწლოვანი ბავშვი და ცოლად შეირთო ახა დარჩიაშვილი. ამ უკანასკნელმა გორგაძესთან რამდენიმე წელი წამებაში გაატარა. მთელი სოფელი გორგაძის განუწყვეტელი ლოთობის მოწმე იყო, იგი მთვრალი ცხადდებოდა სკოლაში, ხშირად სცემდა ცოლ-შვილს. ერთი ასეთი შემთხვევის დროს ცოლს სხეულის დაზიანება მიაყენა, რის გამოც მსჯავრდადებულ იქნა.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო მისი ოჯახური მდგომარეობა და პატიმრობა გამასწორებელი მუშაობით შეუცვალა. გორგაძემ ამის შემდეგ უარესი ჩაიდინა — ცოლ-შვილი გარეთ გამოყარა, უსუსური ბავშვები უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დატოვა. გორის მშრომელთა აქტივის ჩარევით ბავშვები აღსაზრდელად გადაეცნენ საბავშვო დაწესებულებებს. ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირველია, რომ შ. გორგაძე კვლავ [illegible] ...ხელს უწყობს საწარმოში ან დაწესებულებაში სამუშაოდ მოსული ახალგაზრდების მიმართ ცალკეული ხელმძღვანელების უსულგულობა, ბიუროკრატიზმი. არის შემთხვევა, როცა პატიოსან, შრომისმოყვარე ახალგაზრდას დაწესებულების ხელმძღვანელი უჭიანურებს სამუშაოზე გაფორმებას, დაპირებებით ატარებს ერთ ხანს და შემდეგ უარს ეუბნება.

ზოგჯერ სამუშაოზე არასრულწლოვნებს სათანადო პირობებს არ უქმნიან, მოზარდი სამუშაოს ტოვებს და კვლავ ქუჩაში იწყებს ხეტიალს. ვხვდებით ისეთ ფაქტებსაც, როცა მოზარდებს სამუშაოდან უსაფუძვლოდ ათავისუფლებენ, ისე რომ ამ საკითხს არ ათანხმებენ არც პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან და არც არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან.

სკოლისა და სამსახურის გარეთ დარჩენილი ბავშვები კი უსაქმურად დაეხეტებიან, რასაც ისინი მართლწესრიგის დარღვევამდე მიჰყავს. ასეთი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მოზარდთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სისტემის გარდაქმნაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს, რომლებიც შექმნილია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად საზოგადოების მონაწილეობით ავლინებენ იმ ბავშვებისა და მოზარდების მდგომარეობას, რომლებსაც ესაჭიროებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარება, აგრეთვე ახორციელებენ არასრულწლოვანთა ყოფაქცევისადმი მეთვალყურეობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის მიგვითითებდა, რომ არასრულწლოვანებისადმი ზედამხედველობა და მათ მიერ დანაშაულის ჩადენის მთლიანად აღმოფხვრა დიდი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა.

მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ვალია აღზარდოს თვითეული ადამიანი კომუნიზმისათვის მამაც მებრძოლად, თავისი ქვეყნის მუყაით პატრონად, ადამიანი, რომელიც პატივს სცემს ყოველივეს, რაც უფროს თაობებს მოუპოვებიათ, და შეუქმნიათ, რომელიც თავისი შრომით გაამრავლებს სამშობლოს სიმდიდრეს, ღირსებასა და დიდებას.

---

# მშენებლობის ტემპი და ხარვეზები

[illegible] ...პირკეთების სამუშაოები. მშენებლებმა დღემდე ქარხნის ტერიტორიაზე 3.500 კვადრატული მეტრი ბეტონის გზები მოაწყეს.

[illegible] ...ყოფილების უფროსი, ს. მიქაშავიძე—სარემონტო სამქროს ზეინკალი, შ. ჯავახაძე — „კომუნისტის" საკ. კორ.

---

## სასიხარულო ამბები ჭიათურიდან

# გარდამავალი დროშა — გამარჯვებულთ

წარმატებით მუშაობს ჭიათურის მარგანტრესტის ახალი ითხვისის მაღაროს კოლექტივი. მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის ქალაქკომმა და მარგანტრესტის მმართველობამ ამ დღეებში შეაჯამეს მარგანეცის მრეწველობაში სოციალისტური შეჯიბრების პირველი კვარტალის შედეგები.

საუკეთესო მაჩვენებლებისათვის შეჯიბრებაში პირველი ადგილი მიეკუთვნა ახალი ითხვისის მაღაროს კოლექტივს. მას კვლავ დარჩა მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის ქალაქკომისა და მარგანტრესტის გარდამავალი წითელი დროშა.

ჟიურის გადაწყვეტილებით ახალი ითხვისის მაღაროს დირექტორი ი. ბაირამაშვილი, პარტბიუროს მდივანი ბ. ცუხიშვილი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე შ. ცერცვაძე და კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. ყაველაშვილი შეტანილი არიან მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის ქალაქკომის საპატიო დაფაზე. ჯილდომ მაღაროს კოლექტივში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

ზ. გამყრელიძე,
მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის ქალაქკომის თავმჯდომარე.

# რაციონალიზატორის წარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის მაღაროებში ისრების გადასაყვანი ჯვარედინა სრულყოფილი არ იყო. ეს იწვევდა ვაგონების ჩავარდნას, ტრანსპორტის შეფერხებას და მადნის გამოზიდვის შეფერხებას.

ამაზე დიდხანს ფიქრობდა ახალი ითხვისის მაღაროს რკინიგზელთა ბრიგადირი, რაციონალიზატორი ნ. მუმლაძე, რომელმაც ბოლოს მიაგნო გამოსავალს, საკითხის სწორ გადაწყვეტას. მან დაამზადა სრულიად ახალი, ორიგინალური კონსტრუქციის გადასაყვანი ჯვარედინა. იგი დაინერგა ახალი ითხვისის მაღაროში. ამით მინიმუმამდე შემცირდა მოძრავი შემადგენლობის ჩავარდნები, დაჩქარდა ვაგონების მიმოქცევა, შემცირდა გზის მომსახურე პერსონალი, გაიზარდა მარგანეცის გამოღება.

ახალი კონსტრუქციის გადასაყვანი ჯვარედინას დანერგვამ ახალი ითხვისის მაღაროში წლიურად 10.680 მანეთი დაზოგა. ამ საუცხოო სიახლეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ცენტრალურმა სადარგთაშორისო ბიურომ მიუძღვნა სპეციალური „საინფორმაციო ფურცელი № 36". იქ აღწერილია ახალი კონსტრუქციის საისრე გადასაყვანი ჯვარედინას მუშაობის პრინციპი, მნიშვნელობა, მოცემულია ნახაზები.

ეს კარგი საქმე ყველა მაღაროში უნდა დაინერგოს.

---

# სკოლა და ცხოვრება

## მკითხველთა სტრიქონები

□ ამბროლაურის რაიონის ოთხმა საშუალო სკოლამ ვალდებულება აიღო ათი ათასი ძირი თუთა თავისი ძალებით დაერგოთ და ეხარებინათ. სიტყვას საქმეც მოჰყვა. მოსწავლეებმა უკვე დარგეს 10 ათასი ძირი თუთა. უახლოეს წლებში სადმელის, ნიკორწმინდის, ჭრებალოსა და სორის კოლმეურნეობები მიიღებენ აბრეშუმის მურისათვის ძვირფას საკვებს — თუთის ფოთოლს.

ჯ. წერეთელი.

□ „მღრღნელები სოფლის მეურნეობის მავნებლებია" — ეს იყო თემა კინოგაკვეთილისა, რომელიც სოფელ მეჯვრისხევის (გორის რაიონი) საშუალო სკოლაში ჩატარდა რაიონის განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის ინიციატივით.

კინოგაკვეთილს დაესწრნენ სოფლების დიდი და პატარა მეჯვრისხევის, ხელთუბნის, ზერტის, ზედდულეთის, ბერშუეთის, ახალუბნის სკოლების ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლები.

ნ. ჩუბინიძე.

□ ახმეტის რაიონის სოფელ საქობიანოს საშუალო სკოლაში ნაყოფიერად მუშაობს ნორჩ ქიმიკოსთა წრე, რომელსაც ქიმიის მასწავლებელი ო. ჯალალანია ხელმძღვანელობს. წრის მეცადინეობებზე ხშირად ტარდება ლაბორატორიული ცდები ნიადაგის სტრუქტურული შემადგენლობის შესწავლისათვის და სასუქების მოქმედების გამოსარკვევად. ცდებს კოლმეურნეებიც ესწრებიან.

ა. არსენაშვილი.

---

# მეცნიერული კვლევა უმაღლეს სასწავლებლებში

**საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. ნ. ჯიბლაძესთან.**

**უკანასკნელ** წლებში საბჭოთა მეცნიერება გამდიდრდა ახალი დიდი აღმოჩენებით. მაგრამ ცხოვრება ჩვენგან სულ უფრო მეტს მოითხოვს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგის მძაფრი ზრდის უზრუნველყოფისათვის. ჩვენი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიებთან ერთად მეცნიერულ-კვლევით მუშაობაში კიდევ უფრო ფართოდ უნდა ჩაებნენ უმაღლესი სასწავლებლები — მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდისა და მომზადების ცენტრები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას უთმობენ სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმების ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 თებერვლის დადგენილებამ „უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის შემდგომი განვითარების შესახებ" მოითხოვა, ახლებურად მივუდგეთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების საქმეს, გადავსინჯოთ უმაღლესი სასწავლებლების როლი მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში. უმაღლესმა სასწავლებლებმა სპეციალისტთა კვალიფიციური კადრების მომზადებასთან ერთად ყოველმხრივ უნდა განავითარონ მეცნიერული კვლევა.

ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში უკვე ბევრი რამ გაკეთდა. კომიტეტის სისტემაში შემავალ უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერულ-კვლევით მუშაობას ეწევა დაახლოებით ორი ათას ხუთასი კაცი, აქედან 156 დოქტორია და 1039— მეცნიერებათა კანდიდატი. მარტო შარშან მათ 1.530 მეცნიერული სამუშაო შეასრულეს, აქედან 44 საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობისაა. ძირითადად კვლევა წარმოებს ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკისა და ბიოლოგიის დარგში.

დიდი ამოცანები დააკისრა უმაღლეს სასწავლებლებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის დარგში, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერებათა თეორიული საკითხების დამუშავების დარგში. ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. დიდი მნიშვნელობა აქვს ახალ საგანს „მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებს", რომელიც მიმდინარე სასწავლო წლიდან შემოვიღეთ უმაღლეს სასწავლებლებში. დიდია აგრეთვე საზოგადოებათმცოდნეობის როლი, რომელსაც ტექნიკუმებში ასწავლიან. ეს კურსი მოსწავლეებს ეხმარება კომუნისტური მსოფლმხედველობის მწყობრ სისტემად ჩამოაყალიბონ თავიანთი ცოდნა, გამოიმუშაონ სოციალიზმის ქვეყნის მოქალაქისათვის საჭირო თვისებები.

დიდად ვითარდება მეცნიერული კვლევა უმაღლეს სასწავლებლებში სამეურნეო ხელშეკრულებების საფუძველზე (საწარმოს დავალებითა და მისი სახსრებით). ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ინსტიტუტის კათედრებზე და ლაბორატორიებში სამეურნეო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაახლოებით 100 თემა შესრულდა. წელს დამთავრდება კიდევ 44 თემის დამუშავება. აქ შემუშავებული წინადადებანი და რეკომენდაციები ჩვენი ქვეყნის ბევრ სამრეწველო საწარმოში დაინერგა.

მეცნიერული კვლევის შემდგომი განვითარებისა და საწარმოებთან კავშირის განმტკიცებისათვის რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილია 10 საპრობლემო ლაბორატორია. მათ შორის არის ფიზიკური კიბერნეტიკისა და კოსმოსური სხივების ფიზიკის ლაბორატორიები, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პრობლემების ლაბორატორიები, თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქში აღდგენითი პროცესების შემსწავლელი საპრობლემო ლაბორატორია, რომელიც პირველად პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა და სხვ. პრობლემურ ლაბორატორიებში იკვლევენ დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო და მეცნიერულ პრობლემებს, ამუშავებენ ახალ კონსტრუქციებსა და ტექნოლოგიას.

მაგრამ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერული მუშაობის მოწყობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. დღემდე საკმაოდ ეფექტურად არ ხორციელდება მეცნიერული კვლევის კოორდინაცია, რაც პარალელიზმს იწვევს თემების დამუშავებაში. გარდა ამისა, ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის გეგმებში გვხვდება წვრილმანი, არააქტუალური თემები, რომლებიც საინტერესო არ არის არც თეორიულად, არც პრაქტიკულად. კომიტეტმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ აღმოიფხვრას გეგმებში მრავალთემიანობა და პარალელიზმი, რეალურად უზრუნველყოს დასახული მეცნიერული მუშაობა მატერიალურ-ფინანსური საშუალებებით და ლაბორატორიულ-კვლევითი ბაზით.

ჯერ კიდევ ბოლომდე არ გადაწყვეტილა უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა დატვირთვის პრობლემა პედაგოგიური და მეცნიერული საქმიანობის რაციონალური შეთავსების უზრუნველსაყოფად.

იმ გამოკვლევათა შორის, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები ეწევიან, ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკუთვნის ნაშრომებს, რომელთა მიზანია ქიმიური მრეწველობის განვითარება და სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია, რაც კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა შორის ამ მხრივ წამყვან როლს ასრულებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

ქიმიის ფაკულტეტების გეგმებში არის თემები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. მაგალითად, უნივერსიტეტის მეცნიერები სწავლობენ საქართველოს ბუნებრივ რესურსებს, მინერალურ მტკნარ წყლებს. მიკრო-ელემენტების გავრცელების ხასიათს ნიადაგებსა და მთის ქანებში. ისინი იკვლევენ ქიმიური პროცესების მექანიზმს. სწავლობენ ცეოლითების სინთეზს და მათ თვისებებს, აგრეთვე ქართული ნავთობის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს და სხვ.

ამიერკავკასიის უდიდესი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთელი რიგი კათედრები ნაყოფიერად მუშაობენ იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობის განვითარებასთან. აქ მუშავდება იონიტების მეშვეობით ძვირფასი ელემენტების კონცენტრაციისა და მიღების მეთოდები, ეძებენ ეფექტურ და იაფ კატალიზატორებს ნავთობისა და კოქსის სხვადასხვა კლასის ნახშირწყალბადების გარდაქმნის მიზნით და სხვ. ამ უმაღლეს სასწავლებელში ამზადებენ არაორგანული ნივთიერებების, ქიმიკატების, კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის დარგის ინჟინერ-სპეციალისტებს და სხვ.

ამას წინათ კომიტეტის კოლეგიამ განიხილა უმაღლეს სასწავლებლებში ქიმიის დარგში მეცნიერული კვლევის მდგომარეობის საკითხი. ამ მიმართულებით მუშაობის გასაუმჯობესებლად მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდება. უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტში შეიქმნება პოლიმერების ახალი საპრობლემო ლაბორატორია, დამატებითი სახსრები გამოიყოფა მეცნიერულ მივლინებათა გასაფართოებლად. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კიდევ ორი საპრობლემო ლაბორატორია გაიხსნება.

წელს, ქიმიური მრეწველობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე შემსვლელთა კონტინგენტი გაიზრდება. ადგილების რიცხვი გაიზრდება აგრეთვე ქიმიის ტექნოლოგიისა და ქიმიური მანქანათმშენებლობის ფაკულტეტებზე საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებშიც.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მუშაკები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ გააუმჯობესონ ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება და გააძლიერონ მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში. (საქდესი).

„კომუნისტი"
მე-2 გვერდი, ხუთშაბათი,
14 მაისი, 1964 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვოლგა და ნილოსი

მძლავრმა აფეთქებამ, რომელმაც იგრიალა 1960 წლის 9 იანვარს ნილოსის ნაპირების პირქუშ კლდეებში, აღნიშნა, რომ დაიწყო ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობა. ახლა მთავრდება სამუშაოთა პირველი ეტაპი: 13 მაისს დილით დაიწყო აფრიკის მძლავრი მდინარის გადახიდვა. ნილოსი იცვლის მიმართულებას, მისი წყლები გაივლის ასუანის ჰიდროკვანძის ნაგებობებს. ამ ისტორიული მოვლენის ზეიმში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი.

ასუანის ჰიდროკვანძი საზღვარგარეთის ერთ-ერთი უდიდესი მშენებლობაა, რაც საბჭოთა კავშირის დახმარებით ხორციელდება, თქვა საკდესის კორესპონდენტ ა. ი. მედვედევთან საუბარში სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ი. ფინოგენოვმა. ეს ჰიდროკვანძი შენდება საბჭოთა ენერგეტიკოსების პროექტით. პროექტმა გაიარა საერთაშორისო ექსპერტიზა და მაღალი შეფასება მიიღო. სამუშაოები, რომლებიც დასახულია შესრულდეს ასუანის რაიონში, უფრო იაფი დაჯდება და უფრო სწრაფად განხორციელდება, ვიდრე საზღვარგარეთელი სპეციალისტთა პროექტებით იყო გათვალისწინებული.

ამ გრანდიოზული მშენებლობის დაწყების შემდეგ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს გ. ა. ნასერს წერდა: „დაე ასუანის კაშხალის მშენებლობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა მტკიცე მეგობრობის სიმბოლო იყოს, დაე იგი იყოს დიადი, თითოეული ადამიანისათვის ახლობელი მშვიდობის გამარჯვებისათვის ხალხთა თანამშრომლობის ძეგლი“.

ნილოსი სიგრძით მეორე მდინარეა მსოფლიოში, იგი სათავიდან ზღვამდე, რომელსაც იგი ერთვის 6.500 კილომეტრზე გადაჭიმულა. სუდანსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მოედინება ნილოსი. ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ სანაპირო რაიონებში ნილოსით მორწყულ მიწებზე უხვ მოსავალს იღებენ. მაგრამ 27 მილიონ ეგვიპტელს რესპუბლიკის ტერიტორიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი უკავია. მთელი დანარჩენი ტერიტორია უდაბნოა.

დიდი ხანია ოცნებობდა ეგვიპტელი ხალხი, რათა გაეფართოებინა სარწყავი მიწების ფართობი. ჩვენს დროში ეს ოცნება, ბოლოს და ბოლოს ახდა. ასუანის კაშხალი, რომელიც გადატიხრავს მდინარეს 111 მეტრი სიმაღლის კედლით, შექმნის წყალსაცავს, რომლის მოცულობაა 130 მილიარდი კუბური მეტრი წყალი. აქ წყალს კვლავ მიიღებს 520 ათასი ჰექტარი მიწა, რომელზეც შეიძლება მოვიწიოთ ორი-სამი მოსავალი წელიწადში. გარდა ამისა მნიშვნელოვან ფართობზე გაუმჯობესდება მორწყვის სისტემა. წყალსაცავი სხვა დიდმნიშვნელოვან როლსაც შეასრულებს: წყალდიდობის დროს იგი მიიღებს ზედმეტ წყალს, არ მისცემს საშუალებას ნილოსს ადიდდეს და ამით უბედურებას ააცილებს ხალხს.

ასუანის ჰიდროკვანძის შემადგენლობაში შევა 2,1 მილიონი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგური. იგი ყოველწლიურად გამოიმუშავებს 9-10 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. მარტო სსრ კავშირში არის უფრო დიდი ჰიდროსადგურები ვოლგასა და ანგარაზე. ამერიკელები მესამე ადგილზე გადავლენ: მათ ყველაზე დიდ ჰიდროელექტროსადგურს — გრენდ-კულის აქვს მხოლოდ 1974 ათასი კილოვატი სიმძლავრე.

ასუანიდან კაიროში და ეგვიპტის სხვა ქალაქებში გაყვანილი იქნება ელექტროგადაცემის მძლავრი ხაზები. მათი საშუალებით ენერგიას გადასცემენ 500 ათასი ვოლტი ძაბვის დროს. ასეთ მაღალ ძაბვას იყენებენ ისევ და ისევ მხოლოდ საბჭოთა კავშირში. ასუანის ჰიდროელექტროსადგურის იაფი ელექტროენერგია არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას საშუალებას მისცემს ერთიორად გაზარდოს სამრეწველო პროდუქციის წარმოება.

სამუშაოები ასუანში საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის უმაგალითო გაქანებით წარმოებს. ერთ წელიწადში აქ ამოჭრონდათ 3-4 მილიონი კუბური მეტრი კლდის გრუნტი.

ეს არის მასშტაბი, რომელიც არ ჰქონია დასავლეთის არც ერთ ფირმას. ნილოსის გადახიდვის წინა დღეებში ნილოსის კალაპოტში ყოველდღიურად ყრიდნენ 20 ათას კუბურ მეტრ ქვას, 35 ათას კუბურ მეტრ ქვიშას.

და რაც მეტად საინტერესოა: ასუანის ჰიდროკვანძის მშენებლობის მთელი ხარჯები ორ წელიწადში ანაზღაურდება. ასე ამტკიცებენ არაბი ეკონომისტები.

საბჭოთა კავშირმა ასუანში გაგზავნა სამშენებლო ტექნიკა, საშენი მასალა, ამზადებს მოწყობილობას ჰიდროკვანძისათვის, მაგრამ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარება ის არის, რომ მშენებლობაზე გაგზავნილი არიან საბჭოთა ინჟინრები, ტექნიკოსები, დიდად კვალიფიციური მუშები, რომლებმაც არაბ ინჟინრებთან ერთად მოაწყვეს საქმე, ეგვიპტელ გლეხებს შეასწავლეს პროფესიები, რომლებსაც ისინი წინათ არ იცნობდნენ.

ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის მთავარი ექსპერტია ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. ალექსანდროვი, რომელიც აშენებდა ვოლგა-დონის არხს, ვოლგის სკპ XXII ყრილობის სახელობის ჰიდროელექტროსადგურს. იქ, შორეულ ნილოსზე, მუშაობის მაღალი კლასი უჩვენეს წარჩინებულმა საბჭოთა ელექტროშემდუღებელმა, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა ა. ულესოვმა, მებეტონემ, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ბენენკომ, რომლებმაც აგრეთვე სახელი გაითქვეს ვოლგის მშენებლობებზე.

დიდი რუსული მდინარე ვოლგა, ხატოვნად რომ ვთქვათ, თითქოს დაუნათესავდა დღეს ნილოსს, და არა მარტო ვოლგა. ირტიშიდან, ანგარიდან, დნეპრიდან, ენისეიდან ასუანში ჩავიდნენ ჰიდროენერგომშენებლები, რათა მონაწილეობა მიეღოთ ნილოსის დაპყრობაში. ახლა იქ 1.800 საბჭოთა სპეციალისტია.

ყველა, ვინც ასუანში იყო, აღნიშნავს, რომ მშენებლობაზე მეგობრობისა და ამხანაგობის ატმოსფეროა გამეფებული. ჩვენი ინჟინრები და მუშები სიამოვნებით უზიარებენ თავის გამოცდილებას არაბებს, ასწავლიან მათ რთული ტექნიკის მართვას. ბევრი არაბი გახდა მექსკავატორე, მებულდოზერე, ელექტროშემდუღებელი, ელექტრომოწყობილობის მემონტაჟე, ავტომანქანის მძღოლი დაეუფლა სხვა სპეციალობებს.

დიდი მშენებლობა ნილოსზე კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობას.

**ნილოსი** „უკანასკნელი ბრძოლისთვის“ ემზადება... მხოლოდ რამდენიმე საათი დარჩა იმ მომენტამდე, როცა ეს დიდი მდინარე ადამიანის ნება-სურვილს დაემორჩილება. ამ სურათზე თქვენ ხედავთ მშენებლობის გრანდიოზულ პანორამას.



## არეფი ასუანში ჩავიდა

**ასუანი,** 13 მაისი. (საკდესი). დღეს ერაყის პრეზიდენტი აბდელ არეფი ასუანში ჩამოვიდა მაღლივი კაშხალის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრების გამო გამართულ ზეიმზე.

# ასუანის ჰიდროკვანძი მეგობრობის სიმბოლოა

# მსოფლიოს ქალთა პროტესტი ომის გამჩაღებლებს!

საერთაშორისო ცხოვრება — დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

## ძველი კურსით

**ჰააგა,** 12 მაისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა, რომელმაც დღეს აქ სიტყვა წარმოთქვა ნატოს საბჭოს სესიის გახსნის ცერემონიაზე, განაცხადა, რომ „როგორც ჩანს, ევროპაში რამდენადმე შენელდა დაძაბულობა“. ამავე დროს იგი ამტკიცებდა, რომ „კომუნისტები კვლავ უშუალო საფრთხეს უქმნიან თავისუფალ სამყაროს“. რასკმა განაცხადა, რომ საჭიროა „არსებობდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის სახელმწიფოთა ძლიერი კავშირი“ და კვლავაც შეინარჩუნონ ნატოს სამხედრო ძლიერება.

რასკმა თქვა, რომ საჭიროა უფრო ხშირად მოეწყოს ნატოს წევრ ქვეყნებს შორის პოლიტიკური კონსულტაციები.

ცერემონიის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა ნატოს გენერალურმა მდივანმა სტიკერმა. თუმცა სტიკერმაც აღნიშნა საერთაშორისო დაძაბულობის გარკვეული შენელება, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, მანაც მოითხოვა „ნატოს განმტკიცება“.

## კანის ეკრანზე

**კანი,** 12 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ი. პონომარიოვი იტყობინება: ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა კანის XVII კინოფესტივალზე, რომელიც აქ გრძელდება გახდა იტალიური ფილმი „შეცდენილი და მიტოვებული“. მის ავტორს შესანიშნავ კინორეჟისორს პიეტრო ჯერმის (საბჭოთა მაყურებელი მას იცნობს კინოფილმებით „იმედის გზა“ და „მემანქანე“) კვლავ აღელვებს დიდი მოქალაქეობრივი თემა. კინოფილმის მოქმედება ხდება სიცილიის პატარა თანამედროვე ქალაქში. ავტორები გესლიანად დასცინიან ცხოვრების შუასაუკუნეობრივ წყობას, ობივატელთა ფარისევლობას, დაუნდობლად ამხილებენ მათ ყალბ ოჯახურ სათნოებას. ჯერმის კინოფილმით იტალიამ თამამად წარადგინა თავისი კანდიდატურა კანის შესაძლო პრიზიორთა სიაში.

კარგად მიიღო ფესტივალის მაყურებელმა პოლონური ფილმი „მგზავრი“, რომელშიც მოთხრობილია ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკის საშინელებაზე. ავტორებმა მაყურებელი გადაიყვანეს წარსულში, რათა მოეგონებინათ მისთვის, რომ დღესაც არსებობს ფაშიზმის აღორძინების საფრთხე... უდროოდ დაღუპულმა რეჟისორმა ანჯეი მუნკმა ვერ დაამთავრა მუშაობა ამ ფილმზე. ეს მისმა მეგობრებმა გააკეთეს მუნკის ფილმი გამოირჩევა მაღალი ოსტატობით, მოქალაქე-მხატვრის აზროვნების ამაღლებული გაქანებით.

ბრაზილიის გლეხთა სიღატაკესა და უუფლებობაზე მოგვითხრობს ბრაზილიელი კინორეჟისორის გლაუბერ როშის ფილმი „შავი ღმერთი და თეთრი ეშმაკი“. იაპონური კინოსურათი „მარტოდ მარტო წყნარ ოკეანეში“ (რეჟისორი ისიკავა), მიეძღვნა ვაჟკაცობის თემას, სტიქიონის წინააღმდეგ ადამიანის ბრძოლის თემას.

სამწუხაროდ, დიდი და კეთილშობილური თემებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები ხშირი მოვლენა არ არის კანში. ბევრი ფილმის მოქმედება, რომლებიც ფესტივალების სასახლეში უჩვენეს, საწოლის კედლებით შემოიფარგლება..

ხვალ ფესტივალზე უჩვენებენ საბჭოთა კინოფილმს „მე მოსკოვში მივაბიჯებ“.

## იქ, სადაც ლენინი ცხოვრობდა

**კოპენჰაგენი,** 12 მაისი. (საკდესი). გუშინ დანიის დედაქალაქში მეგობრობის ვიზიტად მყოფი საბჭოთა სამხედრო ხომალდების მეზღვაურთა ჯგუფი ეწვია სახლს ვესტერბროგადეს ქუჩაზე, სადაც 1910 წელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ცხოვრობდა.

საბჭოთა მეზღვაურები წავიდნენ აგრეთვე კოპენჰაგენის გარეუბან ვანლესეში. აქ ახლა ცხოვრობს 82 წლის ელენ პეტერსენი — ცოლი მუშისა, რომლისგანაც ოთახი ჰქონდა დაქირავებული ვლადიმერ ილიას-ძეს. ელენ პეტერსენმა, რომელიც გულითადად შეხვდა საბჭოთა მეზღვაურებს, თავისი მოგონებანი გაუზიარა პროლეტარიატის დიდი ბელადის შესახებ.

## ალჟირ-მაროკოს კომუნიკე

**ალჟირი,** 12 მაისი (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა ალჟირ-მაროკოს ერთობლივი კომუნიკე ალჟირის საგარეო საქმეთა მინისტრის აბდელ აზიზ ბუტეფლიკას და მაროკოს საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმედ რედა გედირის მოლაპარაკების შედეგებზე. ეს მოლაპარაკება შეეხებოდა ამ ორ ქვეყანას შორის არსებული სადავო საკითხების მოწესრიგებას.

ალჟირისა და მაროკოს მთავრობები, აღნიშნულია კომუნიკეში, მიესალმებიან შეთანხმებას ამ ორ ქვეყანას შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება, როგორც პოლიტიკური და ადმინისტრაციული, ისე სამხედრო, იმისათვის, რომ მიაღწიონ მაროკოსა და ალჟირის ურთიერთობის სრულ და სწრაფ ნორმალიზაციას.

კომუნიკეში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ორივე ქვეყანა თავს შეიკავებს ყოველგვარი პროპაგანდისტული კამპანიისაგან, ყოველგვარი აქტისაგან, რომელიც გააუარესებს ორი მოძმე ქვეყნის ურთიერთობას.

## მოკლე ცნობები

□ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა კვიპროსში თავის სპეციალურ წარმომადგენლად დანიშნა გალო პლასი (ეკვადორი). გალო პლასის დანიშვნის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მას უშუალოდ დაექვემდებარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობის უფროსი პოლიტიკური მრჩეველი კვიპროსში ფლორესი.

□ იემენის რესპუბლიკის პრეზიდენტი აბდალა სალალი კაიროში ჩავიდა. იგი დაესწრება ნილოსის გადახიდვასთან დაკავშირებულ ზეიმს.

□ გემთსაშენ „ფრანს-ჟირონდის“ (დიუნკერკი) ადმინისტრაციამ განუსაზღვრელი ვადით დახურა ეს საწარმო. უმუშევარი დარჩა 2.300 კაცი.

□ როგორც კატანიიდან (სიცილია) იუწყებიან, 500 მეტრი სიგანის ლავის ნაკადი, რომელიც ეტნის ვულკანის კრატერიდან ამოიჭრა რამდენიმე დღის წინათ, მიედინება ქალაქ ბრონტეს მიმართულებით. ამჟამად შენელდა ლავის ნაკადის დინება შვიდიოდე კილომეტრზე ამ ქალაქიდან, რომლის მოსახლეობა 20 ათასი კაცია.

(საკდესი).

## სისხლისმღვრელი შეტაკებანი პერუში

**ლიმა,** 13 მაისი (საკდესი). სისხლისმღვრელი შეტაკებანი მოხდა გლეხებსა და პოლიციელებს შორის პერუს დაბა პარუროში, კუსკოს დეპარტამენტი. პოლიციელებმა იარაღი გამოიყენეს და დახოცეს სამი და დაჭრეს რამდენიმე გლეხი.

რამდენიმე თვის წინათ ამ რაიონის უმიწაწყლო გლეხებმა დაიბრუნეს მიწები, რომლებიც ერთ დროს მემამულეებმა წაართვეს. გლეხებმა მოთესეს ეს მიწები და მოაწყვეს ნათესთა მუდმივი დაცვა. მემამულეებს არაერთხელ მიუმართავთ პოლიციისათვის და უთხოვიათ დახმარება გაეწია გლეხთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ გლეხები ყოველთვის საკადრის პასუხს აძლევენ პოლიციელებს. მიუხედავად პოლიციელთა სისხლიანი რეპრესიებისა, გლეხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი ძალებით დაიცვან თავიანთი უფლებანი მათ მიერ დაკავებული მიწების მიმართ.

# თავიდან ავიცილოთ ატომური მოსპობა!

**ნიუ-იორკი,** 12 მაისი. საკდესის კორესპონდენტი **ჰარი ფრიმენი** იტყობინება:

ამერიკის შეერთებული შტატების ყველა რაიონის 65 ქალი გაფრინდა ჰააგაში, სადაც ისინი ნატოს სხვა ქვეყნების ქალებთან ერთად მოაწყობენ კონფერენციას, რათა პროტესტი განაცხადონ იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ შეიქმნას ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალები. ქალთა ეს სამი დღის კონფერენცია ეწყობა ამერიკის ორგანიზაციის „ქალები, იბრძოლეთ მშვიდობისათვის“ ინიციატივით. ქალთა კონფერენცია გაიმართება იმ დროს, როცა ნატოს საბჭოს სესია იმუშავებს ჰააგაში. ეს სესია, როგორც იუწყებიან, სხვა საკითხებთან ერთად განიხილავს ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის საკითხს.

ქალები აპირებენ აგრეთვე შეხვდნენ თავიანთი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს, რათა გარკვევით განუცხადონ მათ, რომ იბრძვიან ატომური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ.

ჰააგაში გამგზავრების წინ ამერიკელ ქალთა დელეგაციის ხელმძღვანელმა დაგმერ უილსონმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჰააგაში ყოფნით ნატოს ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს დავანახვებთ, თუ რაოდენ იზრდება ქალთა შეშფოთება კაცობრიობის მომავლის გამო, როცა ქალთა ნორმალურ საქმიანობას ატომური განადგურების საფრთხე ემუქრება. საერთაშორისო მოვლენები უშუალოდ გვეხება ჩვენ, გავლენას ახდენენ ჩვენი ცხოვრების ყოველ საათზე“.

## „ბუნდესვერი ნატოს ღერძია“

**პარიზი,** 12 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის გაზეთ „ლიბერასიონის“ მიმომხილველი ჟან-მორის ერმანი ყურადღებს აქცევს იმას, რომ სულ უფრო იზრდება დასავლეთ გერმანიის მილიტარისტთა მოძალეობა ნატოს სამხედრო ბლოკში. სტატიაში „ბუნდესვერი ნატოს ღერძია“ ჟან-მორის ერმანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დასავლეთგერმანელმა ოფიცრებმა ფეხი მოიკიდეს ნატოს აპარატის ყველა რგოლში.

მიმომხილველი ხაზგასმით აღნიშნავს, სწორედ რომ ნატოს „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის გეგმები, რომლებსაც დიდი ხანია ადგენენ, საშუალებას მისცემს ბონის გერმანიას ხელთ იგდოს ატომური იარაღი.

შეუპოვრობა, რომლითაც დასავლეთგერმანელი მილიტარისტები ესწრაფვიან ატომურ იარაღს „სამართლიანად აწუხებს ქვეყნებს, რომლებიც ესოდენ სასტიკად დაზარალდნენ ნაცისტური აგრესიისაგან, და აფერხებს ღონისძიებებს, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის“.

## ხელი მოაწერეს კანონს

**ტუნისი,** 13 მაისი. (საკდესი). გუშინ ტუნისის პრეზიდენტმა ბურგიბამ ხელი მოაწერა ეროვნული კრების მიერ მიღებულ კანონს, რომლის მიხედვითაც მთელი მიწები უნდა ჩამოერთვათ უცხოელ კოლონისტებს და გადაეცეს სახელმწიფოს.

ამიერიდან, განაცხადა კანონის ხელმოწერის შემდეგ პრეზიდენტმა ბურგიბამ, ტუნისის მიწა შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ტუნისელებს.

# უშიშროების საბჭოში

**ნიუ-იორკი,** 13 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ს. ლოსევი იუწყება:

გუშინ მოწვეული უშიშროების საბჭოს დღის სხდომაზე კაშმირის საკითხის გამო პირველი გამოვიდა ინდოეთის განათლების მინისტრი ჩაგლა. სულ უფრო და უფრო იგრძნობა, თქვა მან, რომ დისკუსია კაშმირის გამო ამაოდ წარმოებს და არაფერს არ მოგვცემს. ინდოეთს თავიდანვე მიაჩნდა, რომ ეს განხილვა არ არის საჭირო და მეტად არადროულია. მაშინ როცა ინდოეთისა და პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტრები აწარმოებენ მოლაპარაკებას ნდობის აღდგენის შესახებ, განხილვა უშიშროების საბჭოში მხოლოდ გააძნელებს მათ ამოცანას და გაამწვავებს ვითარებას. კაშმირის საკითხი, ისევე როგორც ამ ორ ქვეყანას შორის ამჟამად არსებული სხვა გადაუჭრელი პრობლემები, გაიმეორა ჩაგლამ, შეიძლება გადაიჭრას ორმხრივი მოლაპარაკებისა და ასეთი მოწესრიგებისათვის ხელშემწყობი ვითარების შექმნის გზით.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა მ. ვეჟევოდამ აღნიშნა, რომ სსრ კავშირის წინადადებას — დაიდოს საერთაშორისო შეთანხმება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოები არ გამოიყენებენ ძალას ტერიტორიულ საკითხთა გადაჭრის დროს, უეჭველად მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ინდოეთისა და პაკისტანის უთანხმოებათა მოწესრიგებისათვის.

აჰმედ ბენჰიმამ (მაროკო) განაცხადა, რომ ინდოეთისა და პაკისტანის ახლანდელი მტრობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ უთანხმოებებით რელიგიურ საფუძველზე. აჰმედ ბენჰიმამ გადაკვრით აღნიშნა, თუ რა როლი შეასრულა ინგლისმა კაშმირის გამო ამ მტრობისა და კონფლიქტის წარმოშობაში, და ხაზი გაუსვა, რომ ინდოეთის სუბკონტინენტს თავისუფლება გათიშვის ფასად დაუჯდა.

მაროკოსა და სპილოს ძვლის ნაპირის წარმომადგენლებმა მოუწოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს გამოიყენოს თავისი კეთილი მისია იმ მიზნით, რომ აღადგინოს მოლაპარაკება ინდოეთსა და პაკისტანს შორის კაშმირის საკითხზე.

უშიშროების საბჭო განაგრძობს კაშმირის საკითხის განხილვას.

## პროვოკაციები კუბის წინააღმდეგ

**ნიუ-იორკი,** 12 მაისი. (საკდესი). კუბის კონტრრევოლუციონერები აპირებენ მცირერიცხოვანი დესანტები გადასხან კუბაში დივერსიებისა და საბოტაჟის მოწყობის მიზნით, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მაიამიდან (ფლორიდის შტატი). ბევრმა დივერსანტმა, აღნიშნავს სააგენტო, მომზადება გაიარა ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში და აქვს „პარტიზანული“ ბრძოლის გამოცდილება. სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ ამ დესანტების გადასხმის დაწყება დასახულია დაახლოებით 20 მაისისათვის.

# კვიპროსში დახოცეს ბერძენი ოფიცრები

**ნიქოზია,** 12 მაისი. (საკდესი). ქალაქ ფამაგუსტის თურქულ ნაწილში გუშინ დახოცეს ორი და მძიმედ დაჭრეს ერთი ბერძენი ოფიცერი (საბერძნეთის არმიის კონტინგენტის შემადგენლობიდან, რომელიც კვიპროსშია განლაგებული), აგრეთვე მოკლეს ერთი პოლიციელი კვიპროსელი ბერძენი.

ისინი ავტომანქანით მიდიოდნენ და შემთხვევით მოხვდნენ თურქების სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ ოფიცრებმა განაცხადეს საბერძნეთის არმიაში ვმსახურობთო, ისინი იქვე დახვრიტეს თურქმა ექსტრემისტებმა.

კვიპროსის ხალხის მტრების ამ ახალმა პროვოკაციამ აქ გამოიწვია რისხვა და აღშფოთება ყველა პატიოსანი კვიპროსელისა, რომლებსაც სურთ მშვიდობა და წესრიგი დაამყარონ კუნძულზე, მოაწესრიგონ ურთიერთობა ორ თემს შორის.

## პორტსმუტის ტრაგედია

**ნიუ-იორკი,** 13 მაისი. (საკდესი). დღეს პორტსმუტის სამხედრო-საზღვაო გემთსაშენში (ნიუ-ჰემპშირის შტატი), როცა წყალში ჩასაშვებად ამზადებდნენ წყალქვეშა ნავს, რომელიც აღჭურვილი იქნება „პოლარისის“ რაკეტებით, ელექტროდენმა მოკლა მუშა სემუელ ფოლკენი და დაამავა ხუთი სხვა მუშა. ს. ფოლკენი მოკვდა მალე მას შემდეგ, რაც სამხედრო ჰოსპიტალში მიიყვანეს.

სამხედრო გემთსაშენის მთავარ კართან გაიმართა დაზარალებულთა ნათესავების დემონსტრაცია.

# მხარს დაუჭერენ თუ არა ჯონსონს?

**ნიუ-იორკი,** 12 მაისი. საკდესის კორესპონდენტი **ჰარი ფრიმენი** იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების საქმეს გაცნობილ პოლიტიკურ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ბევრი წამყვანი ფინანსისტი და მრეწველები, რომლებიც ჩვეულებრივ მხარს უჭერენ რესპუბლიკურ პარტიას, მომავალ არჩევნებში, რაც ნოემბერში გაიმართება, აპირებენ მხარი დაუჭირონ ახლანდელი პრეზიდენტის — დემოკრატი ლინდონ ჯონსონის კანდიდატურას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე.

ასეთი განზრახვა აიხსნება ნაწილობრივ ჯონსონის „პირადი დამსახურებით“, ნაწილობრივ კი მთელ რიგ მრეწველთა შიშით, რომ რესპუბლიკური პარტიისაგან პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატად შეიძლება დაასახელონ „ცოფიანთა“ ლიდერი ბარი გოლდუოტერი.

გაითვალისწინა რა ამგვარი ტენდენციები, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის მიმომხილველი ეკონომიურ საკითხებში ეილინ შანაჰანი შეეცადა შეეფასებინა მრეწველთა საკონსულტაციო საბჭოს წევრების წინასაარჩევნო განწყობილება, საბჭოსი, რომლის ერთ-ერთი პერიოდული სესია მიმდინარეობს ჰოტ-სპრინგსში (ვირჯინიის შტატი). ამ გავლენიან ჯგუფში შედის ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოებით 100 ყველაზე მსხვილი კაპიტალისტი.

მიმომხილველმა გამოიტანა დასკვნა, რომ მრეწველთა უმრავლესობა მზად არის მხარი დაუჭიროს ჯონსონს იმ პირობით, თუ ისინი მოიწონებენ დემოკრატიული პარტიის კანდიდატისაც ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე.

„საქმიანი წრეების ხელმძღვანელთათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება ბ-ნ ჯონსონის მეწყვილე, — წერს იგი, — რადგან მათ იციან, რომ პრეზიდენტს უკვე ჰქონდა გულის სერიოზული შეტევა. ცნობილია, თუ რა მძიმეა ხელმძღვანელი მუშაობის ტვირთი ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

განმარტავს რა ამ მრეწველთა დამოკიდებულებას ჯონსონისადმი, იგი წერს: „საქმიანი წრეების ხელმძღვანელები ამტკიცებენ, რომ მოიწონებდნენ ჯონსონის არჩევას, რადგან მიაჩნიათ, რომ მას ესმის მრეწველთა პრობლემები, განსაკუთრებით ის, რომ საჭიროა კარგი შოგების მიღება, და ამიტომ მოსწონთ ის ენერგია, რომლითაც ჯონსონმა მოჰკიდა ხელი პრეზიდენტის მოვალეობას“.

რაც შეეხება დემოკრატიული პარტიის მომავალ კანდიდატს ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, ამ საქმოსნებს სურთ, რომ იგი იყოს თავდაცვის მინისტრი რობერტ მაკნამარა. შანაჰანი აღნიშნავს, რომ მრეწველებს მაკნამარა „თავიანთ კაცად“ მიაჩნიათ.

ამას, უეჭველია, აქვს თავისი აზრი, რადგან სანამ თავდაცვის მინისტრი გახდებოდა, მაკნამარა იყო მულტიმილიონერ ფორდის საავტომობილო კომპანიის პრეზიდენტი.

ამავე დროს, წერს შანაჰანი, საქმიანი წრეების ბევრმა წარმომადგენელმა ჰოტ-სპრინგსის სესიაზე გარკვევით თქვა, რომ ვერ დაუჭერს მხარს ჯონსონს იმ შემთხვევაში, თუ იგი თავის მეწყვილედ აირჩევს იუსტიციის მინისტრს რობერტ კენედის. „ბ-ნი კენედი მიაჩნიათ ადამიანად, რომელიც მტრულადაა განწყობილი საქმიანი წრეებისადმი, უმთავრესად იუსტიციის სამინისტროს ტრესტების საწინააღმდეგო საქმიანობის შედეგად“.

გოლდუოტერის შანსებზე წერს ჟურნალი „ნიუსუიკი“ უკანასკნელ ნომერში. რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც 13 ივლისს იხსნება სან-ფრანცისკოში, გოლდუოტერს, — ამტკიცებს ჟურნალი, უზრუნველყოფილი აქვს ყრილობის 592 დელეგატის მხარდაჭერა. გამარჯვების მოსაპოვებლად მან უნდა მოაგროვოს 655 ხმა.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გოლდუოტერს თითქმის არ უჭერენ მხარს ფართო მასები, ჟურნალ „ნიუსუიკს“ მიაჩნია, რომ მას აქვს დიდი შანსი მიაღწიოს თავისი კანდიდატურის დასახელებას. ეს შესაძლებლობა, როგორც ჟურნალი „ნიუსუიკი“ ამტკიცებს, სრულებითაც არ ახარებს მძლავრ ფინანსურ ჯგუფებს, რომლებიც დღემდე ესოდენ დიდ გავლენას ახდენდნენ რესპუბლიკური პარტიის საქმეებზე.

ჟურნალი წერს: „ნიუიორკელი ბანკირები, კორპორაციათა ხელმძღვანელები და გამომცემლები მზად არიან დათანხმდნენ ყოველ კანდიდატურაზე, გარდა გოლდუოტერის კანდიდატურისა“.

საყოველთაო აღიარებით, წინასაარჩევნო ბრძოლის დროს შექმნილ ვითარებაში ჯონსონი შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ გაიმარჯვებს საბოლოო არჩევნებში მიუხედავად იმისა, ვინ იქნება მისი მეტოქე რესპუბლიკური პარტიისაგან.

## ნატოს ახალი გენერალური მდივანი

**პარიზი,** 13 მაისი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ნატოს საბჭოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის გენერალურ მდივნად დაინიშნოს მანლიო ბროზიო. იტალიელი დიპლომატი ბროზიო ამჟამად იტალიის ელჩია საფრანგეთში. ბროზიო თავის ახალ მოვალეობას შეუდგება 1 აგვისტოს.

## ოქმი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ვაჭრობის შესახებ

**პეკინი,** 13 მაისი. (საკდესი). დღეს პეკინში ხელი მოაწერეს ოქმს საქონელგაცვლის შესახებ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის 1964 წლისათვის.

ოქმს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ მთავრობის სავაჭრო დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ი. ტ. გრიშინმა, ჩინეთის მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ე ძი-ჯუანმა.

# პროტესტები საბერძნეთში

**ათენი,** 12 მაისი (საკდესი). ფამაგუსტში (კვიპროსი) თურქი ექსტრემისტების მიერ საბერძნეთის არმიის ორი ოფიცრის დახოცვამ მკვეთრი რეაქცია გამოიწვია საბერძნეთში.

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა პაპანდრეუმ, რომელიც გუშინ სალონიკში იმყოფებოდა, განაცხადა, რომ საბერძნეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ კვიპროსში მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალები „აღადგენენ კანონიერებასა და წესრიგს“.

საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა გარუფალიასმა საბერძნეთის ოფიცრების დახოცვას „ბარბაროსული აქტი“ უწოდა. გაზეთ „კატიმერინის“ ცნობით, საბერძნეთის მთავრობამ მითითება მისცა ბერძენთა გარნიზონის სარდალს კვიპროსში ბრიგადის გენერალს პერიდისს პროტესტი განუცხადოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალების სარდალს კვიპროსში გენერალ გიანის იმასთან დაკავშირებით, რომ არ იყო უზრუნველყოფილი ბერძენი ოფიცრების უსაფრთხოება.

პრემიერ-მინისტრმა პაპანდრეუმ შეწყვიტა მოგზაურობა ჩრდილოეთ საბერძნეთში და დღეს ათენში დაბრუნდა.

გაზეთების ცნობით, საბერძნეთის შეიარაღებული ძალები საბრძოლოდ არიან გამზადებული. დასავლეთ თრაკიის რაიონში საბერძნეთ-თურქეთის საზღვარზე დაიწყო საბერძნეთის არმიის ჯავშანსატანკო და ქვეითი ჯარის ნაწილების კომბინირებული მანევრები.

## საიდუმლო წყალქვეშა ნავი

**ნიქოზია,** 12 მაისი. (საკდესი). გუშინ კვიპროსის რესპუბლიკის თვითმფრინავმა დაბა მანსურიდან ხუთ მილზე (კვიპროსის კუნძულის ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო) აღმოაჩინა გაურკვეველი კუთვნილების წყალქვეშა ნავი, აგრეთვე წყალზედა ხომალდი ამ დაბის სულ ახლოს. როგორც გაზეთი „ელეფთერია“ იუწყება, კვიპროსის ხელისუფალთ აქვთ ცნობები, რომ თურქი ექსტრემისტები მანსურის გავლით იღებენ იარაღს საზღვარგარეთიდან. კვიპროსის რესპუბლიკურმა მთავრობამ ეს ფაქტი აცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობას კვიპროსში.

## ზემოქმედება ტუნისზე

**ნიუ-იორკი,** 13 მაისი (საკდესი). საფრანგეთმა გადაწყვიტა შეაჩეროს ფინანსური დახმარება ტუნისისადმი. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, ეს გამოაცხადა საფრანგეთის საელჩომ ტუნისში.

ეს გადაწყვეტილება მიღებულია პასუხად კანონისა, რომელიც მოიწონა ტუნისის ეროვნულმა კრებამ და რომელიც ითვალისწინებს მთელი მიწების ჩამორთმევას უცხოელი კოლონისტებისათვის, მათ შორის, მთელი იმ მიწების ჩამორთმევას, რომლებიც წინათ ფრანგებს ეკუთვნოდათ.

## უკანონო არჩევნები

**ბონი,** 12 მაისი (საკდესი). როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული პრესისა და ინფორმაციის უწყების პრეს-ბიულეტენი იტყობინება, დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის თავმჯდომარემ ჰერსტენმაიერმა 1 ივლისისათვის დანიშნა დასავლეთ ბერლინში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები. ამ მიზნით იქ შეიკრიბება „ფედერალური კრება“, რომელიც შედგება ბუნდესტაგის დეპუტატებისაგან.

დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს პრეზიდენტის მომავალი არჩევნები დასავლეთ ბერლინში უკანონო აქტია, რომელიც ხორციელდება იმ მიზნით, რომ „დაამტკიცონ“ თითქოს დასავლეთ ბერლინი ეკუთნოდეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. სინამდვილეში დასავლეთი ბერლინი, რომელიც მდებარეობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრში, არასოდეს არ შედიოდა დასავლეთ გერმანიის ტერიტორიის შემადგენლობაში და დასავლეთ ბერლინზე არ ვრცელდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტისა და მთავრობის ხელისუფლება.

## ვერ გავიდა ორბიტაზე

**ნიუ-იორკი,** 12 მაისი. (საკდესი). მცირეატომური გენერატორიანი თანამგზავრი, რომელიც ვანდენბერგის (კალიფორნიის შტატი) სამხედრო-საჰაერო ბაზიდან გაუშვეს, ვერ გავიდა ორბიტაზე, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიის წარმომადგენელმა. თუმცა ეს თანამგზავრი გაუშვეს გასულ თვეში, მაგრამ მისი გაშვება გუშინდლამდე არ იყო გამოცხადებული.

# განვამტკიცოთ აფრიკა-აზიის ქვეყნების ერთობა

## ყაზახეთის სსრ მთავრობის განცხადება

**ალმა-ატა,** 11 მაისი. (საკდესი). გაზეთებში „სოციალისტიკ ყაზახსტანი“, „ყაზახსტანსკაია პრავდა“ და რესპუბლიკის სხვა გაზეთებში გამოქვეყნებულია ყაზახეთის სსრ მთავრობის განცხადება აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეორე კონფერენციის მოწვევის საკითხზე.

განცხადებაში გაკრიტიკებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის პოზიცია, რომელიც აზიისა და აფრიკის სახელმწიფოთა წარმომადგენლების ამასწინანდელ შეხვედრაზე ჯაკარტაში წინაღუდგა ამ კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის მიწვევას.

ყაზახეთის მთავრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩენ ის განცხადებას იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირი არ არის აზიური სახელმწიფო, ახასიათებს როგორც აბსურდულს.

ჩინეთის მთავრობის უხეში ცდები შეცვალოს გეოგრაფია, გამორიცხოს მრავალეროვნული საბჭოთა კავშირი აზიურ სახელმწიფოთა რიცხვიდან, ნათქვამია განცხადებაში, მიზნად ისახავენ, რათა განაცალკევონ აფრიკა-აზიის ქვეყნები, გათიშონ მშვიდობისმოყვარე ძალებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთობა, ჩამოაშორონ იგი სოციალიზმის ქვეყნებსა და საერთაშორისო მუშათა კლასს.

ყაზახეთის სსრ მთავრობას არ შეუძლია გულგრილად მოეკიდოს ასეთ უპასუხისმგებლო, აბსურდულ, შოვინისტურ, ნაციონალისტურ განცხადებებს.

ყაზახეთის ყოველმა მოსწავლემ იცის, აღნიშნულია განცხადებაში, რომ ეს რესპუბლიკა, როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი, აზიის ცენტრშია და 1.680 და მეტ კილომეტრზე ესაზღვრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სინძიან-უიგურის ავტონომიურ რაიონს. ყველასათვის კარგად ცნობილია აგრეთვე, რომ სსრ კავშირის ტერიტორიის ორი მესამედი მდებარეობს აზიის კონტინენტზე.

ყაზახეთის სსრ მთავრობას მიაჩნია, ნათქვამია განცხადებაში, რომ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხების იზოლაცია საბჭოთა კავშირისაგან, მსოფლიო სოციალისტური სისტემისაგან, როგორც ეს ჩინეთის ხელმძღვანელებს სურთ, სასარგებლოა მხოლოდ იმპერიალისტებისათვის და ყველა ჯურის კოლონიზატორებისათვის. ყაზახეთის მთავრობა მხურვალედ უჭერს მხარს აფრიკა-აზიის ქვეყნების მეორე კონფერენციის მოწვევას, თუ ამ კონფერენციის მიზანი იქნება მთელი იმ ძალების შეკავშირება, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო — ყაზახეთის სსრ მონოლითური მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასთან ერთად მზად არის ყოველი ღონე იხმაროს ამ კონფერენციის წარმატებისათვის.

# ლიტერატურა და ხელოვნება



## პოლონელები კითხულობენ...

**ვარშავაში გამოიცა გ. ლეონიძის ლექსთა კრებული**

**რაც** დრო გადის, მით უფრო მეტ მეგობარს და დამფასებელს იძენს ქართული კულტურა, კერძოდ კი ქართული მწერლობა, ფართოვდება მისი, თუ შეიძლება ითქვას, გავრცელების არე და საზღვრები.

უკანასკნელ წლებში საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ითარგმნა, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაიბეჭდა და ცალკე წიგნებად და კრებულებად გამოიცა ჩვენი კლასიკური მწერლობის მრავალი ქმნილება, აგრეთვე თანამედროვე ქართველი პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებები. უცხოელ მკითხველებს საშუალება ეძლევათ გარკვეული წარმოდგენა იქონიონ მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის მდიდარ ტრადიციებზე, მის დღევანდელ ყოფაზე და წარმატებებზე.

გუშინ რედაქციაში ვარშავიდან პატარა ამანათი მივიღეთ, რომელშიც სულ ორმოცგვერდიანი წიგნი იყო სათუთად შეფუთული. ეს არის საქართველოს სახალხო პოეტის, აკადემიკოს **გიორგი ლეონიძის** ლექსთა კრებული, სათაურით „ოლე“, გამოცემული ვარშავაში პოლონურ ენაზე.

კრებულს წამძღვარებული აქვს წიგნის რედაქტორის ლეოპოლდ ლევინის მოკლე წინასიტყვაობა, რომელშიც გადმოცემულია გ. ლეონიძის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ცნობები. გარეკანისა და სუპერის მხატვრობა ეკუთვნის ალ. სტეფანოვსკის.

წიგნში დაბეჭდილია ქართველი პოეტის სულ ოცდაერთი ლექსი, რომელთა მთარგმნელები არიან თანამედროვე პოლონელი პოეტები ლ. ლევინი, ვ. ბორუნსკი, გ. კარსკი, ზ. ბრაუდე, ი. პრიტკოვსკი, ს. პოლაკი და სხვ.

*თბილისი—ათენი*

## ქართველ მოცეკვავეთა დიდი წარმატება ელადის მიწაზე

**ჩვენი** გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ 10 მაისს მოსკოვიდან საბერძნეთში ერთი თვით საგასტროლოდ გაემგზავრა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი. გუშინ „კომუნისტის“ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ქ. ათენს. ანსამბლის ხელმძღვანელებმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა **ნინო რამიშვილმა** და **ილიკო სუხიშვილმა** გვაცნობეს:

— პირველი კონცერტი 12 მაისს გავმართეთ ათენის ერთ-ერთ საუკეთესო თეატრში — „პალასში“, რომლის მაყურებელთა დარბაზი 2.000-მდე კაცს იტევს. ბილეთები ჩვენს ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე გაყიდულიყო. მაყურებელთა დაინტერესება იმდენად დიდი იყო, რომ თეატრის ადმინისტრაცია იძულებული გახდა კონცერტის დღეს ფეხზე დასადგომი ბილეთები გაეყიდა.

პირველმა გამოსვლამ, შეგვიძლია ვთქვათ, წარმატებით ჩაიარა. პროგრამის ბევრი ნომერი, მათ შორის „მხედრული“, „ჯეირანი“, „სამაია“, „ქართული“ ორ-სამჯერ გავიმეორეთ მაყურებელთა თხოვნით. ხოლო კონცერტის დასასრულს ბოლო არ უჩანდა ტაშსა და ოვაციას.

ბერძენი ხალხის ეროვნული გმირი **მანოლის გლეზოსი**, რომელიც ჩვენს კონცერტს ესწრებოდა, აღფრთოვანებული მოვიდა ჩვენთან კულისებში, მთელი ანსამბლი მიგვიპატიჟა შინ და ხუმრობასავით გვითხრა: — ასეთი დიდებული სანახაობისა და დიდი შთაბეჭდილების შემდეგ, ალბათ, არც დამეძინება ამაღამ.

თბილისელთათვის კარგად ცნობილმა ტრაგიკოსმა მსახიობმა, მედეასა და ელექტრას როლების დიდებულმა შემსრულებელმა ასპაზია პაპატანასიუმ თავისი შთაბეჭდილება მოკლედ გამოხატა: — ეს არის ნამდვილი ხელოვნება და წარმტაცი სანახაობა. მადლობა დიდი ესთეტიკური სიამოვნებისათვის!

ჩვენს პირველ კონცერტს გულთბილად გამოეხმაურა გაზეთ „ავგის“ დღევანდელი ნომერი, ხოლო ჩვენმა იმპრესარიომ გადაწყვიტა გასტროლები საბერძნეთში ათი დღით გააგრძელოს.

„საქართველოს ანსამბლმა პირველსავე საღამოს მოხიბლა ათენი, — წერს გაზეთი „მესიმვრინი“. — ათენელ მაყურებლებს იშვიათად დაუჯილდოებიათ ტაშით მსახიობები ასეთი აღტაცებით“.

## დედაქალაქის ვარსკვლავები

**დიდი** წარმატებით მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში პირველი საერთაშორისო ფესტივალი „მოსკოვის ვარსკვლავები“.

6.000-ზე მეტი სტუმარი ეწვია მოსკოვს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან საბჭოთა ხელოვნების თავისებურ საგაზაფხულო დღესასწაულზე, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის საუკეთესო თეატრალური კოლექტივები, გამოჩენილი საბჭოთა მსახიობები, მუსიკოსი შემსრულებლები, ქორეოგრაფიული ანსამბლები, ესტრადის და ცირკის ცნობილი მსახიობები.

დედაქალაქის საუკეთესო თეატრალურ და საკონცერტო დარბაზებში ერთდროულად მიმდინარეობს ამ დიდი ფესტივალის სპექტაკლები და კონცერტები. ყველგან, ხალხით სავსე დარბაზებში, გაისმის აღტაცებულ მაყურებელთა მქუხარე ტაში და ოვაციები.

ფესტივალის თეატრალურ პროგრამაში საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის, მოსკოვის მხატვრული აკადემიური თეატრის, ვახტანგოვის სახელობის თეატრის, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის ღირსშესანიშნავი დადგმები.

ფესტივალის სტუმრები გაეცნენ ისეთ გამოჩენილ მსახიობთა შემოქმედებას, როგორიც არიან საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ივანე პეტროვი, მაია პლისეცკაია, რაისა სტრუჩკოვა, რსფსრ სახალხო არტისტი ვიოლეტა ბოვტი, 1964 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოცეკვავენი ელეონორა ვლასოვა და ვლადიმერ ვასილიევი.

ფართო და მრავალფეროვანია ფესტივალის საკონცერტო პროგრამა. მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი იგორ მოისეევის ხელმძღვანელობით, ანსამბლი „ბერიოზკა“, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიური რუსული სიმღერების გუნდი ა. სვეშნიკოვის ხელმძღვანელობით, დიდი თეატრის ქორეოგრაფიული სასწავლებელი, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს სანიმუშო სასულე ორკესტრი და სხვ.

ფესტივალის მონაწილეები გაეცნენ მსოფლიოში სახელგანთქმულ მუსიკოსებს — პიანისტ ს. რიხტერს, ვიოლონჩელისტ მ. როსტროპოვიჩს, მევიოლინე ი. ოისტრახს, დირიჟორ კ. კონდრაშინს და მრავალ სხვას.

ერთ-ერთი კონცერტის დროს კრემლის თეატრში ჩვენ ვესაუბრეთ ფესტივალზე ჩამოსულ ტურისტთა ჯგუფს. აქ არიან კანადელები, ინგლისელები, ამერიკელები, გერმანელები, ფრანგები.

— ჩვენ ჩამოვედით მოსკოვში ახალი ზელანდიიდან, — გვიამბობს ხანშიშესული ექიმი ალექსი რიდი. — ფესტივალი „მოსკოვის ვარსკვლავები“ ხელოვნების ნამდვილი დღესასწაულია. ჩვენ აღტაცებული ვართ მოსკოვში ნახულით. ძნელია ჩვენი დიდი შთაბეჭდილებების გადმოცემა სიტყვით. ასეთი საერთაშორისო ფესტივალი კარგი ინიციატივა და საბჭოთა ხელოვნების მიღწევათა ნათელი დადასტურებაა.

**ს. კილაძე,**
„კომუნისტის“ სპეც. კორ.





სურათებზე: სცენა სსრ კავშირის დიდი თეატრის სპექტაკლ „მძინარე მზეთუნახავიდან“. ავრორა — მ. პლისეცკაია, უფლისწული — ი. რადიშჩევი; მარჯვნივ — უკრავს მ. როსტროპოვიჩი.

ფოტო ავტორისა.

## მოსკოვი უსმენს ქართულ ჰანგებს

**ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტი მოსკოვში**

ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებები პოპულარობით სარგებლობს მსმენელთა შორის. მის შემოქმედებას კარგად იცნობენ და აფასებენ საბჭოთა მუსიკალური კულტურის გამოჩენილი სპეციალისტები.

ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებები ხშირად ჟღერს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში, მათ ხშირად გადასცემენ საკავშირო რადიოს პროგრამებით. მიმდინარე წლის იანვარში მოსკოვში პირველად იქნა შესრულებული კომპოზიტორის ახალი ვოკალურ-სიმფონიური პოემა „კლდე და მდინარე“, რომელსაც საფუძვლად უდევს დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას ამავე სახელწოდების ნაწარმოები.

ახლახან მოსკოვში, პ. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში — დედაქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო საკონცერტო დარბაზში გაიმართა ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი, საკავშირო რადიოს დიდი გუნდი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი ზ. ანჯაფარიძე, მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსების ლაურეატი, პიანისტი მ. გოგლიძე-მდივანი, დიდი თეატრის სოლისტები.

კონცერტზე შესრულებულ იქნა სიმფონიურ-ვოკალური პოემა „კლდე და მდინარე“, სიმფონიურ-ვოკალური ნოველა „ჯარისკაცი“ (მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებთა მოტივებზე), საფორტეპიანო კონცერტი, ფინალური სცენა ოპერა „მინდიადან“. კონცერტს დირიჟორობდა თვით ავტორი.

შემდეგ ოთარ თაქთაქიშვილი მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტს ეწვია და მრავალფეროვანი პროგრამით კონცერტი გამართა სტუდენტებისათვის.

*თბილისი—რომი*

## ელისო ვირსალაძის კონცერტები

**დღეს** რომში თავის მეორე კონცერტს გამართავს ახალგაზრდა პიანისტი ელისო ვირსალაძე. გუშინ დილით რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა რომში სასტუმრო „ბოლონიას“, სადაც ქართველი მუსიკოსი ცხოვრობს.

— პირველი კონცერტის შემდეგ — თქვა ე. ვირსალაძემ, — რამდენიმე დღე თავისუფალი მქონდა, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ყოველდღიურად ვმეცადინეობ და შემდეგი კონცერტებისათვის ვემზადები.

გუშინ რომის რადიოში მიმიწვიეს და ჩემი შესრულებით რამდენიმე ნაწარმოები ჩაწერეს. მათ იტალიის რადიოთი გადასცემენ. ჩემს პირველ კონცერტს გულთბილი რეცენზია უძღვნა გაზეთმა „უნიტამ“.

## კოტე ლოლაძე



**გარდაიცვალა** კონსტანტინე (კოტე) ტრიფონის-ძე ლოლაძე. ეს მძიმე დანაკლისია საქართველოს ჟურნალისტთა მთელი კოლექტივისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობისა და პოლიგრაფიული კომბინატის მუშაკებისათვის, სადაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დირექტორად მუშაობდა.

აღარ არის ერთგული მეგობარი და კარგი ამხანაგი. იგი მძიმე ავადმყოფობის დროსაც მუდამ იდგა საბრძოლო პოსტზე. მისი სამუშაო პოსტი კი მეტად მოუსვენარი და პასუხსაგები იყო.

მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე კ. ლოლაძე პატიოსნად შრომობდა. იგი დაიბადა 1913 წელს ს. სკანდეში (ზესტაფონის რაიონი), რკინიგზელის ოჯახში. 1931 წელს, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ინსტრუქტორად. მას შემდეგ კ. ლოლაძე არ მოსცილებია ჟურნალისტურ საქმიანობას.

33 წელიწადი — თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი კ. ლოლაძემ საბჭოთა პრესისა და გამომცემლობის უმწიკვლო სამსახურს მოახმარა.

სადაც კი მას უმუშავნია — მრავალტირაჟიან გაზეთ [illegible] „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ რედაქციებში, სტუდენტობის დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (რომელიც 1936 წელს დაამთავრა) თუ საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტში, პარტიის გაგჲის რაიკომში, ქუთაისისა და აჭარის საოლქო კომიტეტებში თუ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში, ყველგან გამოირჩეოდა ენერგიული შრომითა და თავმდაბლობით, ინიციატივიანობითა და პრინციპულობით, საქმისადმი კომუნისტური დამოკიდებულებით.

კ. ლოლაძე არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, იყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, დაჯილდოებული იყო საბჭოთა კავშირის მედლებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. იგი დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა.

საქართველოს ჟურნალისტების კოლექტივში, მის მეგობრებსა და ამხანაგებში მარად დარჩება ნიჭიერი, უანგარო, გულისხმიერი და ყურადღებიანი ადამიანის კ. ლოლაძის ნათელი ხსოვნა.

**საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმი,**
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი,**
**საქართველოს სსრ კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი,**
**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.**

## ზერავშანზე სიმშვიდეა

**სამარყანდი, 11 მაისი.** (საქდესი). დღეს დილით იკლო იმ ტბიდან გამომდინარე ნაკადმა, რომელიც წარმოიშვა ზერავშანის სათავეში მთის ზვავისაგან. ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების სადგურების ცნობით, სუსტმა ტალღებმა 553 კილომეტრიანი გზის შემდეგ შეაჩერეს თავისი დინება ყზილკუმის სილაში. ეს მოხდა იმ ადგილას, სადაც ზერავშანი სავსებით ხარჯავს თავის წყლებს მინდვრების სარწყავად, იკარგება სილაში და აღარ არის შუა აზიის უდიდესი მდინარის ამურდარიის შენაკადი.

ტბიდან გამოშვებულმა წყლებმა მკვეთრად გაადიდეს მდინარის დინება. მაგრამ არსად არ არის აღნიშნული ზერავშანის ადიდება, თუმცა ამას ელოდნენ. ბუხარის ოაზისში, სადაც მდინარე განსაკუთრებით ფართოდ მიედინება, თოლიების გუნდებმა დროებით დატოვა წალეკილი ქვიანი კუნძულები. რამდენიმე საათის შემდეგ წყლის შემცირებასთან ერთად, თოლიები დაბრუნდნენ წინანდელ ადგილას.

ზერავშანზე სიმშვიდეა.

## მატჩები • ტურნირები • ჩემპიონატები

### სსრ კავშირი—შვეცია 1:1

**სტოკჰოლმის** „რასუნდას“ სტადიონს, სადაც ფეხბურთის არა ერთი შესანიშნავი მატჩი გამართულა, დიდი ხანია ამდენი სტუმარი არ ჰყოლია.

ინგლისელი მსაჯის **ჯიმი ფინეის** სასტვენის ხმამ მაყურებლებს აუწყა ბრძოლის დაწყება. მეტოქენი გამოვიდნენ თავიანთი საუკეთესო შემადგენლობით: **სსრ კავშირის ნაკრები** — იაშინი, მუდრიკი, შესტერნევი, კორნეევი, გლოტოვი, ვორონინი, კოროლენკოვი, ჩისლენკო, ივანოვი, გუსაროვი, მალაფეევი; **შვეციის ნაკრები** — არვიდსონი, როზანდერი, იუჰანსონი, ებერგი, ვინგი, მილდი, მარკენსონი, ჰამრინი, ბილდი, სიმონსონი, პერსონი.

ორივე გუნდმა თამაშის ერთნაირი სქემა $4+2+4$ აირჩია. დასაწყისში იგრძნობოდა ზედმეტი სიფრთხილე, ნერვიულობა.

მასპინძლები იერიშების განხორციელებას ფლანგებიდან ცდილობდნენ, სადაც აქტიურად მოქმედებდნენ ჰამრინი და პერსონი. შესანიშნავად ითამაშა ჩვენმა მეკარე იაშინმა, რომელმაც არაერთხელ დაიმსახურა მაყურებელთა ერთსულოვანი ტაში.

საბჭოთა ნაკრების თავდამსხმელებს რამდენიმე საგოლო მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ზოგჯერ კარი ძელმა იხსნა. ორჯერ კი მეკარე არვიდსონმა გადაარჩინა თავისი გუნდი აშკარა საფრთხისაგან.

45 წუთი ამოიწურა. ანგარიში არ გახსნილა.

მეორე ტაიმში შვედები გაერთვნენ წინ თამაშით. ეს კარგად გამოიყენეს ჩვენმა თავდამსხმელებმა. მათ კაითამაშეს შესანიშნავი კომბინაცია და იგი გოლით დააგვირგვინეს. მისი ავტორი იყო გუნდის კაპიტანი ივანოვი. ეს მოხდა 62-ე წუთზე.

თამაშის დამთავრებას სამი წუთი აკლდა როცა საბჭოთა გუნდის მცველთა შეცდომამ ჰამრინს საშუალება მისცა ანგარიში გაეთანაბრებინა. ამრიგად, მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

### მატჩები და შედეგები

**12 მაისს** გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

აი მათი შედეგები:

**მეორე ქვეჯგუფი** — „არარატი“ (ერევანი)-„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი)-„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 2:0, „ტრუდი“ (ვორონეჟი)-„სპარტაკი“ (გომელი) 2:1, „შახტიორი“ (ყარაგანდა)-„დინამო“ (ტალინი) 1:1, სკა (ოდესა)-„კარპატი“ (ლვოვი) 2:0.

მეორე ქვეჯგუფში ლიდერობას ინარჩუნებს ოდესის სკა, რომელსაც 8 თამაშიდან 14 ქულა აქვს.

### ნ. ალექსანდრიას ყაიმი მსოფლიოს ჩემპიონთან

**გუშინ** სოხუმში გაიმართა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეოთხე ტური.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობდა ასპარეზობის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის ალექსანდრიასა და გაფრინდაშვილის შეხვედრა. გათამაშდა სიცილიური დაცვა. ალექსანდრიას დებიუტიდან ჰქონდა გარკვეული უპირატესობა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონმა შეძლო წონასწორობის აღდგენა და 25-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

სსრ კავშირის ჩემპიონმა რანიკუმ დაამარცხა ბუცხრიკიძე. დანარჩენი პარტიები გადაიდო. კელერ-გერმანს მოსაგები პოზიცია აქვს თეოდორესკუსთან პარტიაში, ბელავენეცს კი ასენოვასთან. კარაკაშნე-ბიკოვას პარტიაში რთული პოზიციაა. ნედელკოვიჩს უკეთესი დაბოლოება აქვს ჩაიკოვსკაიასთან.

ოთხი ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს ნ. გაფრინდაშვილი, რომელსაც 3,5 ქულა აქვს.

**გ. გამრეკელი,**
სპეც. კორ.

### „სასწაულის“ მარცხი

**ეკლესიის** დამცველთა მონაჭორი ვილნიუსის დომინიკური ეკლესიის მიწისქვეშეთის „სასწაულის“ შესახებ მხილებულია, მას ბოლო მოუღო არქეოლოგების, ეთნოგრაფების, ისტორიკოსებისა და ექსპერტი-მედიკოსების ავტორიტეტული კომისიის გამოკვლევებმა, რომელიც შექმნა ლიტვის სსრ კულტურის სამინისტრომ. იმ გამოკვლევათა საბოლოო შედეგები, რომლებიც ერთ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, წარმოდგენილია საზოგადოებრიობის წინაშე გამოფენაზე, რომელიც გაიხსნა რესპუბლიკის მხარეთმცოდნეობის საზოგადოების მუზეუმში.

რა იყო დომინიკური ეკლესიის მიწისქვეშეთის „სასწაული“? ეკლესიის სარდაფებში რამდენიმე ასეული წელია ინახება ადამიანთა მრავალი მუმია, ყველაზე არაბუნებრივ პოზებში გაქვავებული. ეკლესიის დამცველები უჩვენებდნენ მათ მორწმუნეებს, როგორც „ღმერთის სასჯელს“, რომელიც მიეწიათ ცოდვილებს ერთ წამში.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დამარხულთა შორის არიან მონაზვნები, ქსონძები, უბრალო მოქალაქეები. ისინი სხვადასხვა დროს ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალნენ და დასაფლავებული იყვნენ ეკლესიის მიწისქვეშეთში. მოგვიანებით, როცა ვილნიუსში შემოვიდნენ რუსეთიდან უკანდახეული ნაპოლეონის ჯარები, სამარხები გაძარცვეს.

კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მუმიფიკაცია ხდებოდა ბუნებრივი პირობების ზემოქმედებით. სამარხებში არის მუდმივი ტემპერატურა — დაახლოებით ნოლი გრადუსი.

მალე ეკლესიის მიწისქვეშეთი გაიხსნება ექსკურსიებისათვის. საზოგადოებრიობას შეუძლია კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, თუ რა ხერხებს მიმართავდნენ ბნელეთის მოციქულები, რათა ზეგავლენა მოეხდინათ მორწმუნეთა გრძნობაზე.

(საქდესის კორ.).

**ვილნიუსი, 11 მაისი.**

## უარს ვამბობ ბრძოლაზე

**—აცხადებს რობერტ ფიშერი**

„... **ვფიქრობ**, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის პრეტენდენტები უნდა ვეძიოთ შემდეგ სამეულში: ბოტვინიკი, ტალი, ფიშერი. დანარჩენ გროსმაისტერებს, რომლებიც იბრძვიან ამ ტიტულისათვის, როგორც მე მგონია, ნაკლები შანსები აქვთ დაიკავონ პირველი ადგილი მომავალი წლის კანდიდატთა მატჩ-ტურნირში“.

ასეთი აზრი გამოთქვა ტიგრან პეტროსიანმა ამას წინათ ჟურნალისტებთან საუბარში. მსოფლიოს ჩემპიონის ინტერვიუ გამოქვეყნებული იყო იუგოსლავიის გაზეთ „ბორბაში“. ახლა ამ პროგნოზებში, როგორც ჩანს, კორექტივები უნდა შევიტანოთ: ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდა ჩემპიონმა რობერტ ფიშერმა უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს საზონათაშორისო ტურნირში.

როგორც კი ცნობილი გახდა ეს, ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ამსტერდამს, სადაც 20 მაისს დაიწყება ფიდეს VI საზონათაშორისო ტურნირი. ყურმილი აიღო საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა დოქტორმა მაქს ეივემ.

— **დოქტორ ეივე, რობერტ ფიშერის უარი უკვე დამოწმებულია ოფიციალურად?**

— დიახ, საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ჭადრაკის ფედერაციის ოფიციალური ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ფიშერი ტურნირზე არ ჩამოვა. მის მაგივრად ითამაშებს გროსმაისტერი ლარი ევანსი, რომელმაც თავისი ქვეყნის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა.

ფიშერის ეს გადაწყვეტილება ჩემთვის სრულიად მოულოდნელია. მე ვფიქრობდი, რომ თუ იგი არ იქნება მსოფლიოს ჩემპიონი ოცი წლის ასაკში, იგი გახდება ჩემპიონი ოცდასამი წლისა. ახლა ფიშერს მოუწევს თავისი ოცნების ასრულება უფრო ხანგრძლივი დროით გადადოს.

თუმცა ახლა საბოლოოდ ამის შესახებ ლაპარაკი ერთგვარად სარისკოა — ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შეერთებული შტატების ჩემპიონმა უფლება მოიპოვა ითამაშოს ამსტერდამში და, ვიდრე არ ჩაირთვება საჭადრაკო საათები, ეს უფლება მას რჩება.

— **თქვენ ფიქრობთ, რომ ფიშერმა შეიძლება გადაიფიქროს?**

— უკეთესია ეს თვითონ მას ჰკითხოთ.

...ეივესთან საუბრის შემდეგ ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა რობერტ ფიშერს დაურეკა ნიუ-იორკში.

— **გამარჯობათ, მისტერ ფიშერ, როგორ გრძნობთ თავს?**

— გმადლობთ, შესანიშნავად.

— **ჩვენ გვაცნობეს, რომ თქვენ არ ითამაშებთ საზონათაშორისო ტურნირში.**

— დიახ, მე უარი ვთქვი მონაწილეობა მიმეღო შეჯიბრებაში.

— **მაგრამ ეს, სხვა რომ არაფერი, სამი წლით გართმევთ უფლებას იბრძოლოთ მსოფლიოს ჩემპიონის სახელისათვის.**

— მე ვიცი.

— **მაშ რით არის გამოწვეული ასეთი გადაწყვეტილება?**

— მე არ მინდა თამაში.

საუბარი დამთავრებულია. რობერტ ფიშერმა არ ახსნა თავისი მოულოდნელი გადაწყვეტილების მიზეზები.

მაშ რაშია საქმე?

ორი წლის წინათ კიურასაოს პრეტენდენტთა ტურნირში წარუმატებლობით განაწყენებულმა ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდა ჩემპიონმა სენსაციური განცხადება გააკეთა: „მე მიმაჩნია არასამართლიანად გათამაშების ახლანდელი სისტემა და უარს ვამბობ საჭადრაკო გვირგვინისათვის ბრძოლაზე მანამდე, ვიდრე ეს სისტემა არ იქნება შეცვლილი“.

ახლა სისტემა სხვაგვარია. მსოფლიოს ჩემპიონის ტ. პეტროსიანის მეტოქე გამოვლინდება არა სატურნირო, არამედ სამატჩო ბრძოლებში. ასე რომ ფიშერის პრეტენზია თავისთავად მოიხსნა.

იქნებ ყველაფერში „დამნაშავე“ რეშევსკია? საჭადრაკო სამყაროს ხომ დღემდე არ დავიწყებია სკანდალი, რომელიც რეშევსკი-ფიშერის მატჩის დროს მოხდა. ორთაბრძოლა, როგორც ცნობილია, შეწყდა მეთერთმეტე პარტიის შემდეგ. აღშფოთებულმა ფიშერმა მაშინ განაცხადა: „იქ, სადაც თამაშობს რეშევსკი, მე მეტს აღარ ვითამაშებ“.

ასე თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება. ამერიკის საჭადრაკო იმედმა, გროსმაისტერმა რობერტ ფიშერმა გადაწყვიტა ჯერჯერობით ჩრდილში დარჩეს. დიდი ხნით?.. (აას).

## კომუნისტის სპორტი

### ხუთჭიდელთა დიდი ტურნირი

**ჰალეში** (გდრ) დამთავრდა ოლიმპიური ასპარეზობისწინა დიდი საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით.

წარმატებით გამოვიდნენ უნგრელი ხუთჭიდელები, რომლებმაც პირველი ადგილი დაიკავეს როგორც გუნდურ, ისე პირად ასპარეზობაში. უნგრელთა სამეულმა (ა. ბალცო, ი. მოცარი, ი. მონა) ხუთი დღის შეჯიბრების შემდეგ შეაგროვა 15.713 ქულა.

პირად ასპარეზობაში თავი ისახელა მსოფლიოს ჩემპიონმა ა. ბალცომ. მან მიაღწია ფენომენალურ შედეგს — შეაგროვა 5.584 ქულა. ა. ბალცომ პირველი ადგილები დაიკავა ფარიკაობაში, ცურვასა და რბენაში.

### ტურნე წარმატებით დაიწყო

**სსრ კავშირის** კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი ემზადება ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობისათვის. სხვა ღონისძიებასთან ერთად მზადების პროგრამაში შედის ტურნე საზღვარგარეთ. და აი ჩვენი კალათბურთელები ფინეთს ეწვივნენ. პირველი საერთაშორისო შეხვედრა მათ ჰქონდათ ჰელსინკში ფინეთის ნაკრებთან. მატჩის სიმძაფრეზე ისიც მეტყველებს, რომ პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ 39 : 39. მეორე ნახევარში ინიციატივა ხელთ იგდეს საბჭოთა კალათბურთელებმა და გაიმარჯვეს ანგარიშით 86 : 79.

საბჭოთა გუნდის სასტარტო ხუთეულში შედიოდნენ: ა. ალაჩაჩიანი, ა. ტრავინი, ი. კორნეევი, ა. პეტროვი, გ. ვოლნოვი. ამათ გარდა მატჩში მონაწილეობდა აგრეთვე ყველა დანარჩენი საბჭოთა კალათბურთელი — გ. მინაშვილი, მ. პაულაუსკასი, ვ. ხრინინი, ი. კრუმინში, ლ. მოსეშვილი, ი. ლიპსო, ა. გულბისი.

### სპორტული ქრონიკა

**გუშინ** სოხუმში შედგა მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. თამაშობდნენ სოხუმისა და ბათუმის „დინამოს“ გუნდები. გაიმარჯვეს სოხუმელებმა ანგარიშით 1:0.

**დონეცკის** „შახტიორის“ ფეხბურთელთა კოლექტივი პოლონეთში იმყოფება და ადგილობრივ გუნდებთან საერთაშორისო მატჩებს მართავს. მორიგი შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებს ჰქონდათ პოზნანში ამავე ქალაქის ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ნალესნიმ და ხმელნიცკიმ.

### ველორბოლის ტრასაზე

**გრძელდება** მშვიდობის მრავალდღიანი ველორბოლა მარშრუტით ვარშავა-ბერლინი-პრაღა, რომლის დისტანცია 2.229 კილომეტრია.

შეჯიბრების მონაწილეებმა გაიარეს ოთხი ეტაპი. მეოთხე ეტაპს წარმოადგენდა ვროცლავი-პოზნანი (174 კილომეტრი). დისტანცია წარმატებით გაიარა ამ შეჯიბრების არაერთგზის მონაწილემ პოლონელმა ველომრბოლმა რ. ზელინსკიმ და პირველი ადგილი დაიკავა, მან აჩვენა დრო — 3 საათი, 58 წუთი და 18 წამი. მეორე ადგილიც პოლონელ ველომრბოლს ს. გაზდას ხვდა. მესამე ადგილზე გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ა. შური.

პოზნანში ფინიშთან თითქმის ერთდროულად მივიდა 13 ველომრბოლი. მათ შორის საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ ერთი სპორტსმენი ვ. კაპიტონოვი იყო, რომელმაც მეხუთე ადგილი დაიკავა.

გუნდურ ჩათვლაში ეტაპზე გაიმარჯვა პოლონეთის ველომრბოლთა კოლექტივმა.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### თეატრი

14 მაისი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — კარმენი, **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — ადამიანი იბადება ერთხელ (21-ე აბონ. მე-5 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (მე-20 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ანა ფრანკის დღიური (მე-9 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — ჩანიტას კოცნა, **სანკულტურის** — სახელგატეხილნი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — მეთორმეტე ღამე (აბონ. № 22, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — ცეროდენა (11 ს.), ყველაფერი თავდაყირა (2 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — მოსკოვის მინიატიურების თეატრის წარმოდგენა — „კალეიდოსკოპი“.

### ტელევიზია

15 მაისს

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ახალგაზრდა მეამბოხე“, 19.25 — გადაცემა — „კომკავშირული ტელეპროჟექტორის შუქზე“, 19.40 — კინოჟურნალი „საბჭოთა აზერბაიჯანი“ № 8, 19.50 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „წერილი სოფელ ხვითიდან“, 20.05 — განცხადებები, 20.10 — გადაცემა — „ეს ყველას საქმეა, მეგობრებო“, 20.30 — კინოჟურნალი „სპორტი“ № 2, 20.40 — შუბერტის ვოკალური ციკლი „ზამთრის გზა“, 21.05 — მხატვრული ფილმი „აღდგომა“ (მეორე სერია), 22.55 — ახალი ამბები.

### კინო

14 მაისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი (საზამთრო), საქართველო (მწვანე დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), გაზაფხული — **ეშმაკი და ათი მცნება** (I-II სერია), სპარტაკი — **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი** (I-II სერია), თბილისი — **რომში ღამე იყო**, კომკავშირელი, საქართველო (წითელი დარბაზი), თანამგზავრი, კიროვის სახელობის პარკი — **კალოიანი**, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **სიყვარული სიმღერაში** (I-II სერია), 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ვაკის პარკი — **ორშაბათი მძიმე დღეა**, კოლხიდა (საზამთრო) — **შეხვედრა ბედნიერებასთან**.

### დისერტაციის დაცვა

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 1)

1964 წლის 25 მაისს, დღის 12 ს. სააქტო დარბაზში უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გრიგოლ ერემიაშ-ძე ჩხარტიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე „ინგლისის ქალაქი XI-XIII სს. (სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა)“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 3-46.10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-34-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ᲣᲔ 08212

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.